ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 10 დეკემბერი 2007 №285 (3208) ფასი 50 თეთრი



ფოლკსვაგენის სუპერთასი 2007



საქართველოს თასი 2007



ფოლკსვაგენის სუპერთასი 2006



საქართველოს თასი 2006

# ამერი



# ფოლკსვაგენის თასი 2007


ჰეთთრიქოსანი გრიგოლ დოლიძე

ვაჟა კოპალიანის ფოტო

გორი. 9 დეკემბერი. 13 საათი. თენგიზ ბურჯანაძე. 3 000 მაყურებელი

## ოლიმპი 1:4 ამერი

0:1, 0:2, 0:3 დოლიძე (31, 64, 71), 0:4 გოცირიძე (86), 1:4 ყრუაშვილი (90)

ოლიმპი: მერლანი, დევდარიანი, ორბელაძე, მახვილაძე, ნავალოვსკი (კოშკაძე 62), აკუასაგა, სილაგაძე (ქებაძე 73), დვალიშვილი (ყრუაშვილი 73), გეწაძე, რ. ჯიქია, კახელიშვილი
სათადარიგონი: მ. ალავიძე; ჩივაძე, მგელაძე, მოდებაძე
მწვრთნელი: ანატოლი პისკოვეცი

ამერი: ქვაჩახია, ელბაქიძე, კაკაშვილი, დავითნიძე, დიდავა, ჩიკვილაძე, დეკანოსიძე, ჯელაძე, ბოლქვაძე (მეხსი 75), ტატანაშვილი (რ. გოცირიძე 72), დოლიძე (ა. ალავიძე 75), სათადარიგონი: ლ. ნადირაშვილი; დავითაშვილი, შალამბერიძე, კობაური
მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე

გაფრთხილება: ჩიკვილაძე (27), ორბელაძე (33), ელბაქიძე (45), ქვაჩახია (56), დიდავა (57), ორბელაძე (63), კახელიშვილი (65)

გაძევება: ორბელაძე (63)

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ზ. მენთეშაშვილი; მ. ელიკაშვილი; გ. ვადაჭკორია

დამკვირვებელი: ა. კაჭახიძე; დელეგატი: შ. ბაქრაძე

# ამერის სუპერი რეგულარია

**კობა ინასარიძე გორიდან**

**ფოლკსვაგენის თასი** ზედიზედ მეორედ თბილისის „ამერმა" მოიპოვა და ამასთან, ისევ მიილო საპრიზოდ დაწესებული 10 ათასი ლარი...

გეხსომებათ, თბილისელებმა შარშან „მიხეილ მესხზე" ჩემპიონი „სიონი" დაამარცხეს, ახლა კი გორის „თენგიზ ბურჯანაძეზე" რუსთავის „ოლიმპს" სძლიეს.

საინტერესო ამბავია: „სიონს" ერთადერთი და გამარჯვების გოლი გრიგოლ დოლიძემ გაუტანა და გუშინაც „ოლიმპი" სწორედ დოლიძის ჰეთ თრიქმა იმსხვერპლა...

გორის სტადიონზე დასწრება უფასო იყო — პროფლიგამ და გორის გამგეობამ ფეხბურთის ქომაგთ ერთგვარი საჩუქარი გაუკეთეს, მაგრამ ახალგაკოხტავებული ტრიბუნები ბოლომდე მაინც ვერ შეივსო. იყვნენ გორის ბატალიონის ჯარისკაცები, საპატიო სტუმრები, რუსთაველი და თბილისელი ქომაგები და, სამწუხაროდ, ბევრნი არ იყვნენ ისინი, რომლებიც გორის სტადიონის ტრიბუნებზე სულ არიან და საყვარელ გუნდს მხარდაჭერას არ აკლებენ... თუმცა მათიც გასაგებია, გუშინ გორში თბილისისა და რუსთავის გუნდები თამაშობდნენ და ადგილობრივები ალბათ დიდად არც დაინტერესებულან, რა ხდებოდა სტადიონზე...

სტადიონზე კი სუპერთასის, ანუ „ფოლკსვაგენის" თასის გათამაშება გაიმართა. ეს მატჩი ისეთი საინტერესო და დრამატული არ ყოფილა, როგორებიც ადრე გვახსოვს, მაგრამ, ცხადია, თავისი წილი ხიბლი ამ შეხვედრასაც ჰქონდა.

ჩემპიონატისა თუ თასის მატჩებში მიღებული წითელ-ყვითელი ბარათები „ფოლკსვაგენის" თასის შეხვედრაზე არ გადადიოდა და მეტოქეებიც ერთმანეთს, ფაქტობრივად, უძლიერესი შემადგენლობებით დაუპირისპირდნენ. ცოტა მოულოდნელი იყო, რომ „ამერის" თავკაცმა გიორგი ჩიხრაძემ ერთადერთ ფორვარდად დიმიტრი ტატანაშვილი გაამწესა, ხოლო ბოლო დროს სტაბილურად მოთამაშე რევაზ გოცირიძე სათადარიგოებში დატოვა. „ოლიმპის" რიგებში კი მნიშვნელოვანი ცვლილებები არ ყოფილა.

ტატანაშვილმა გუშინ ძირითადში ადგილი ალბათ უფრო თავისი სისხარტის გამო დაიმსახურა. მეტოქის დაცვის ცენტრში ხომ შედარებით ტლანქი გაბონელი ერნესტ აკუასაგა თამაშობდა. ტატანაშვილის დარი ალნაგი და პლასტიკური ფეხბურთელისთვის კი აკუასაგასგან დასხლტომა ძალიანაც ძნელი არ იქნებოდა.

საწყის 10-15 წუთში ტატანაშვილმა მართლაც კარგად დაიჭირა წინ ბურთი და პასები ფლანგებიდან დამხმარე გრიგოლ დოლიძესა და გიზო ჯელაძეს მიაწოდა. ამათ უკნიდან აქტიურად თამაშობდა დავით ბოლქვაძე.

„ამერის" საყრდენებსა და უკანა ხაზის ფეხბურთელებს თავიდან არც ისე ბევრი საქმე ჰქონდათ — ბოლქვაძემ ორჯერ აანერვიულა რუსთაველები, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია და თამაშიც ნელნელა გათანაბრდა.

ტაიმის შუისკენ კი უკვე „ოლიმპმა" შეუტია და „ყვითლების" დაცვასა და მეკარეს პრობლემები მიეძალათ. ჯერ იყო და, რევაზ გეწაძის შორიდან დარტყმული ოდნავ ასცდა კარს, ხოლო შემდეგ, კუთხურიდან ჩაწოდებულზე გიორგი კახელიშვილის თავურს ზურაბ ქვაჩახია გაუმკლავდა: ბურთმა უცნაური ტრაექტორია მოხაზა და ბევრს რომ მოედნიდან გადასული ეგონა, სწორედ მაშინ დაარტყა კახელიშვილმა — ქვაჩახიამ რეაქცია მოასწრო და სიტუაცია განმუხტა.

„ოლიმპი" თითქოს შეტევაში გაერთო და... გოლიც მიიღო. მცველებს შუა გატარებული ბურთი ზედ კარის წინ დოლიძემ მიიღო, გაისწორა, კარს გახედა და შორეულ კუთხეში გაიტანა — 0:1.

მომდევნო ხუთი-შვიდი წუთი მოედანზე საინტერესო არაფერი მომხდარა. ბურთი მოედნის შუაში დაგორავდა, „ოლიმპი" დაბნეული ჩანდა და შეტევა არ გამოსდიოდა, თუმცა კი ცდილობდა.

ტაიმის ბოლოსკენ „ოლიმპს" ლევან სილაგაძის თავურით შეეძლო ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ ქვაჩახიამ არ დაანება.

შესვენებაზე მწვრთნელებს შეცვლები არ გაუკეთებიათ და ვიდრე შეგირდებს სამეორეტაიმო დარიგებებს აძლევდნენ, მოედანზე ხალხის გამხალისებელი ჩირლიდერები გამოვიდნენ...

მატჩი კი „ოლიმპმა" გაცილებით უფრო აგრესიულად და ტემპიანად განაახლა. თუმცა ისიც ჩანდა, რომ „ამერმა" მოედნის შუაგული შეგნებულად დათმო და მეტოქეს ასე თამაშის საშუალებას დიდხანს არ მისცემდა.

დაახლოებით ათი წუთის შემდეგ „ყვითლებმა" ბურთი რუსთაველთა ნახევარზეც გადაიტანეს. ანატოლი პისკოვეცმა მარცხენაფლანგელი გიორგი ნავალოვსკი უფრო შეტევაზე ორიენტირებული ალექსანდრე კოშკაძით შეცვალა. თითქმის მაშინვე არბიტრმა ლევან ფანიაშვილმა მოედანი „ოლიმპის" მარჯვენაფლანგელ სერგო ორბელაძეს დაატოვებინა და რუსთაველებს ორივე ფლანგი მოერღვათ. ეს უკვე „ამერის" დიდ უპირატესობას ნიშნავდა. თანაც, რა ახალია, რომ „ყვითლები" სწორედ ფლანგებიდან განსაკუთრებით მწვავედ თამაშობენ.

ჰოდა, ამ შეცვლა-გაძევებიდან ორი წუთის შემდეგ „ამერმა" „ოლიმპს" მეორეც გაუტანა: დოლიძე მარჯვენიდან შეიჭრა მეტოქის საჯარიმოში და პირველის მსგავსად, მერლანს ისევ შორეულ კუთხეში გაუტანა.

აქედან ხუთ წუთში კი დოლიძის ულამაზესი მესამე გოლიც ვნახეთ. ასეთი გოლები მართლაც იშვიათობაა და მაღალი კლასის ფეხბურთელები თუ ასრულებენ: მეკარესთან ისევ მარჯვნიდან მიახლოებულმა დოლიძემ ბურთს ქვემოდან ამოსცხო და მეკარეს ისე გადაავლო, ტრიბუნებზე მსხდომნი გაკვირვებულნი დატოვა — ბურთი მეკარესა და ხარიხას შუა ჩაეშვა...

საქმე უკვე გაკეთებული იყო. დარჩენილ ოც წუთში „ოლიმპი" მოედანზე ბევრსაც ვერაფერს შეცვლიდა. მიუხედავად ამისა, პისკოვეცმა ერთდროულად ორი შეცვლა მაინც გააკეთა. ამითვე უპასუხა ჩიხრაძემ.

თამაში დასასრულისკენ წავიდა. ამასობაში კი, გიზო ჯელაძემ მარჯვენა ფლანგზე კოშკაძე ჩამოიტოვა, კარის გასწვრივ დაბალზე ჩააწოდა და რევაზ გოცირიძემ „ამერი" მეოთხედ გაახარა.

თამაშის დამთავრებამდე უკვე წამებს ითვლიდა, როცა შეცვლაზე შესულმა ნიკოლოზ ყრუაშვილმა პრესტიჟის გოლის გატანა მოახერხა. „ამერმა" ბურთი ცენტრში მიიტანა, ფანიაშვილმა კი აღარც ქომაგი გააწვალა, აღარც „ოლიმპი" და თამაში დაამთავრა...

„ამერმა" „ფოლკსვაგენის" თასი მეორედ ჩაიბარა...


ნამატჩევს „ამერის" გასახდელში: მთავარი მწვრთნელი გიორგი ჩიხრაძე და პრეზიდენტი ზურაბ ფოცხვერია

ვაჟა კოპალიანის ფოტო






„ამერმა“ ზედიზედ მეორედ მოიპოვა „ფოლკსვაგენის“ სუპერთასი. თბილისელებმა შარშან ბოლნისის „სიონი“ დაამარცხეს (1:0), გუშინ კი რუსთავის „ოლიმპს“ არ დაუტოვეს შანსი და 4:1 იმარჯვეს. ამ ორ შეხვედრაში მატჩის გმირი გრიგოლ დოლიძე იყო, რომელმაც შარშან „სიონის“ კარში ერთადერთი გოლი გაიტანა, „თენგიზ ბურჯანაძეზე“ კი სულაც ჰეთ თრიქი შეასრულა...

# გრი-გოლ-გოლ-გოლ! დოლიძის სუპერჰეთთრიქი



— „ამერმა“ მეორედ მოიპოვა სუპერთასი, რა თქმა უნდა, ძალიან გახარებულები იქნებით...

— მთელი გუნდი ბედნიერია! კიდევ ერთი ტიტული შევიმატეთ და გულშემატკივარიც გავახარეთ, რამაც ძალიან გაგვახარა.

— საქართველოს სუპერთასზე სამი გოლი არავის გაუტანია. როგორ ფიქრობ, ეს მატჩი შენს კარიერაში საუკეთესო იყო?

— ასეთ მატჩში სამი გოლის გატანა თავისთავად გამორჩეული რამაა და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ რაც ვთამაშობ, ჩემი საუკეთესო მატჩი ეს იყო.

— მირზა მერლანს მესამე გოლის ეფექტურად გაუტანე. მგონი, ეს შენი საუკეთესო გოლიცაა...

— გეთანხმები. ამ შეხვედრაში ყველაფერი გამომდიოდა, მესამე გოლი კი მართლაც ფანტასტიკური იყო. ასეთი გოლი არასოდეს გამიტანია.

— როგორ ფიქრობ, რის ხარჯზე მოახერხა „ამერმა“ ასეთი დამაჯერებელი გამარჯვება?

— მეტოქე ძლიერი გვყავდა, მაგრამ ბიჭებმა ყველაფერი გააკეთეს მოსაგებად. არა მგონია, ვინმეს ეფიქრა, რომ ჩვენ ასე დავამარცხებდით „ოლიმპს“, მაგრამ მადლობა ღმერთს, ეს შევძელით.

— შარშანდელ სუპერთასის მატჩში „სიონს“ ერთადერთი გოლი შენ გაუტანე...

— იმ გამარჯვებას რა დამავიწყებს — პირველად მოვიგეთ სუპერთასი, გამარჯვების გოლი კი მე გავიტანე. იმ დღეს ჩემზე ბედნიერი არავინ იყო.

— „ამერმა“ ზედიზედ ორჯერ მოიპოვა საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასი და სუპერთასი. შეგვიძლია, ამ გუნდს სათასო გუნდი დავარქვათ?

— გინდა არ გინდა, „ამერს“ სათასო გუნდი უკვე დაერქვა — მხოლოდ თასებს ვიგებთ. არადა, ჩემპიონატის შეხვედრაშიც იგივე მონდომებით ვთამაშობთ, თუმც ჯერ თასების მეტი ვერაფერი მოვიგეთ. მწამს, მალე ეროვნულ ჩემპიონატშიც მივაღწევთ წარმატებას.

**ნუკრი ლოლაძე**


ჩაერთეთ 3 ლარად!

საავანსო ბალანსი 3 ლარი



ტარიფი «მეგობრები»

სატარიფო გეგმა ძალაშია 31.01.2008 - მდე

დაგვიკავშირდით
ქალაქის ქსელიდან: 20 0611
მობილურიდან: 0611

www.beeline.ge

ბილაინი



# ამისულაშვილის CHAMPIONAT.RU

რუსულ championat.ru-ს გამოკითხვით პრემიერლიგის საუკეთესოთა შორის მოხვედრის საშუალება ნალჩიკის „სპარტაკის“ ქართველ ლეგიონერ ალექსანდრე ამისულაშვილს აქვს.

ვებგვერდმა პრემიერლიგის სიმბოლური ნაკრების შექმნისას 4-4-2 სქემა ირჩია და მარჯვენა ცენტრალური მცველის ნომინაციაში ამისულაშვილი ხუთეულში წარადგინა.

ამისულაშვილს კონკურენტები არიან: ამკარელი ალექსეი პოპოვი, სატურნელი ილიასუ შილა, სპარტაკელი რადოსლავ კოვაჩი და ზენიტელი ნიკოლას ლომბერტსი.

ამისულაშვილმა 30 ტურში 29 მატჩი შეუცვლელად ითამაშა და ის ერთი შეხვედრაც მის ირგვლივ ატეხილი სექსკანდალის გამო გამოტოვა.

გეხსომებათ, ჩვენებური ამ საქმეში გამართლებულია და ბოლო მატჩი რომ ვერ ითამაშა, მხოლოდ და მხოლოდ ფსიქოლოგიური ფაქტორით აიხსნება.

ჩვენებურმა მოედანზე 2610 წუთი გაატარა და ამ დროს მანძილზე 3 ყვითელის ბარათის მიღება და 3 გოლის გატანა მოახერხა.

აი, როგორ ახასიათებს რუსული ვებგვერდი ქართველ მცველს:

„ამისულაშვილს გოლების გატანა რომ ეხერხება, იაროსლავლის „შინიკში“ თამაშისას დაამტკიცა. ნალჩიკში კი მისმა „წონამ“ აშკარად მოიმატა, თუმცა მთავარი ის არის, რომ მისი ყველა გოლი შედევრი იყო. ჩემპიონატის შედეგების მიხედვით, ამისულაშვილი იმ ფეხბურთელთა სიაში მოხვდა, ვინც 29 მატჩი შეუცვლელად ითამაშა. აბსოლუტურ მაჩვენებლამდე ქართველს ერთი შეხვედრა დააკლდა, მაგრამ თავისი მაღალი ოსტატობა მაინც დაამტკიცა. კარგი სეზონის მიუხედავად, ამისულაშვილი ბოლოს შარში გაეხვია, თუმც მის რეპუტაციებზე ამ ფაქტს არ უმოქმედია. ყაბარდო-ბალყარეთში ამისულაშვილი თავს კომფორტულად გრძნობს და არც აპირებს გუნდის დატოვებას. ეტყობა, იური კრასნოჟანთან მუშაობა მას ხელს აძლევს, რადგან „შინიკში“ გატარებული სეზონის შემდეგ აშკარად მოუმატა“.

შეგახსენებთ: 2006 წლის სეზონში ამისულაშვილი კიევის „დინამოდან“ „შინიკში“ იყო განათხოვრებული და იაროსლავლელები პრემიერლიგიდან გავარდნენ. 2007 წლის სეზონი ასევე განათხოვრებით ნალჩიკში დაიწყო და მწვრთნელ-გულშემატკივრებს საიმედო თამაშით თავი ისე შეაყვარა, რომ მისი ტრანსფერი გამოისყიდეს.

და ერთიც: „სოვეტსკი სპორტის“ გამოკითხვით, პრემიერლიგის 33 საუკეთესოთა შორის ვერც ერთი ქართველი ვერ მოხვდა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ახალი ქართველი წითელ ეშმაკებში

## მენთეშაშვილი ცქიტიშვილთან ჩავიდა



საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი, დიდი ხანი არ არის, რაც „კარზერსლაუტერნის“ მრჩევლად დაინიშნა და აგერ, ეს დღეებია, ქართველი ფეხბურთელები ამ კლუბთან ახლოს ტრიალებენ.

მოგეხსენებათ, ჩვენი ნაკრების ნახევარმცველი ლევან ცქიტიშვილი უკვე რამდენიმე დღეა, გერმანიაშია და აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს „კაიზერსლაუტერნთან“, გუშინ კი კიდევ ერთმა ქართველმა ფეხბურთელმა ჩააკითხა „წითელ ეშმაკებს“ — ეს ზურაბ მენთეშაშვილია და ვნახოთ, რა როგორ იქნება...

**ნუკრი ლოლაძე**

# ევროპა შეთხელდა

რუსეთ-უკრაინის ჩემპიონატების დასრულების თუ საზამთრო პაუზის შემდეგ დღეს მოთამაშე ქართველ ლეგიონერთა რიცხვი საგრძნობლად შემცირდა — ჩვენებურებმა ევროპულ სტადიონებზე სულ მხოლოდ ოთხ მატჩი ითამაშეს.

თუ ილია კანდელაკმა იენის „კარლ ცაისის“ შემადგენლობაში 70 წუთი ითამაშა, ბოლო 20 წუთი მოედანზე შვეიცარიის „თუნში“ მოთამაშე სანდრო იაშვილი გამოჩნდა. სრულად მხოლოდ ორმა ქართველმა, შტურმელმა გიორგი შაშიაშვილმა და კარლსრუელმა ალექსანდრე იაშვილმა ითამაშეს.

„შტურმმა“ სტუმრად „აუსტრია“ დაამარცხა და შაშიაშვილის გუნდი პირველ ადგილზე ალზევდა.

მატჩი იენელებმაც მოიგეს, თუმცა 0:2 აგებდნენ და სამი ბურთის გატანა მოახერხეს, აქედან ორი ილია კანდელაკის მოედნიდან გასვლის შემდეგ.

გიორგი ონიანსა და გიორგი სეთურიძეს არ უთამაშიათ.

სტუმრად „ლუცერნთან“ 2:1 მოიგო „თუნმა“. იაშვილი კი მოედანზე 2:0-ის შემდეგ შევიდა.

უფროსი იაშვილის „კარლსრუემ“ ქულა გამოაღნო სტუმრად „ბოხუმთან“ (2:2), ასეთივე ანგარიშით ლევან კობიაშვილის „შალკე“ სტუმრად „აინტრახტს“ დაუზავდა. ახალგამოჯანმრთელებულ კობის არ უთამაშია.

კახა კალაძის „მილანს“ „რეჯინასთან“ მატჩი გადაედო, ხოლო „იუვენტუსთან“ სათასო შეხვედრის განაცხადში პირველად მოხვედრილი ემპოლელი ლევან მჭედლიძე „კალიარისთან“ მატჩში 18 კაცში ვერ მოხვდა.

ასევე თვრამეტეულში ვერ მოხვდნენ ბლექბერნელი ზურაბ ხიზანიშვილი (0:1 „ვესტ ჰემთან“), „მიუნხენ 1860“-ის მცველი მათე ღვინიანიძე (0:3 „ოსნაბრიუკთან“) და, ცხადია, პადერბორნელი დავით სირაძეც (1:0 „ვეჰენთან“).

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



ალექსანდრე იაშვილი (შუაში) საგოლე პასით გამოირჩა

გიო ახვლედიანის სვეტეული



# ნდობის საკითხი

შაბათ საღამოს „ლივერპულმა“ რედინგში წააგო, რაც სენსაცია გამოვიდა.

სტუმრების კარში პენალტი ისე დანიშნეს, რომ დარღვევა საჯარიმოს გარეთ იყო, მასპინძლების კარში ნამდვილი პენალტი არ დაინიშნა.

ორივე შემთხვევაში „ლივერპულის“ მოთამაშეებმა იწყინეს, მაგრამ მსაჯს რას გადაათქმევინებ? ანდრე მაინერმა თავისი ორივე შეცდომა შეირგო.

ასეთი რამეები წარამარა ხდება ფეხბურთში, სადაც მსაჯი ვიდეოგამეორებას ვერ ითხოვს. ამას მთელი მსოფლიო ისე მიეჩვია, რომ ლამის ჩვეულებრივი ამბავია.

გასულ კვირაში „ამერი“ — „ვიტ ჯორჯიას“ თამაშში მსაჯმა პენალტი დანიშნა და ამას ქართველურ-მინდვრული აზრთა გაცვლა-გამოცვლა, ორი ამერელის გაძევება, საბოლოოდ კი, „ამერის“ მიერ თამაშიდან გასვლა მოჰყვა იმის გამო, რომ კლუბის პრეზიდენტმა თამაშის ადამიანურად გაგრძელების გზა ვეღარ დაინახა.

„ამერი“ წესდების მიხედვით დაისაჯა, ჩვენ კი, კიდევ ერთხელ დავინახეთ, რომ საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ფეხბურთელებისა და მსაჯების ურთიერთობის პრობლემაა. მგონი, მათ შორის არანაირი ნდობა და ურთიერთპატივისცემა არ არსებობს. ნდობა დიდი რამეა. ნდობაში შენი შეცდომის მიღებაც შედის, პატივისცემა კი ნდობას ამაგრებს.

ამ წუთას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, იყო თუ არა „ამერის“ კარში პენალტი. საქართველოში ლამის ყოველი, არსებული და არარსებული პენალტი საჩხუბარია ხოლმე. „ამერის“ სტადიონზე ამ უნდობლობის ერთ-ერთი ყველაზე მძაფრი გამოხატულება იყო.

ამ უნდობლობას ლამის ტრადიციის იერი აქვს. შესაძლოა, ქართველ მსაჯებს ევროპაშიც აძლევდნენ თამაშებს, ჩვენს სტადიონებზე ყველაფერი ძალიან პიროვნულია და ყველამ ყველაფერი იცის.

მსაჯებმა რა გააკეთეს იმისთვის, რომ მათდამი ნდობა გაზრდილიყო? ეს ტრადიცია ჩვენს ფეხბურთში მოსაშლელია და მისი მოშლა მსაჯების ხელშია, თორემ ისტორია არასდროს დასრულდება.

ერთხელ, ასე თხუთმეტი წლის წინათ, რუსთავში თასის თამაშზე ვიყავი, რუსთავი უგებდა ბათუმს. ქანდარაზე ბათუმელი ბიჭი იჯდა და, როდესაც მსაჯები გამოდიოდნენ დაიღრიალა: ბაკავოი, ჩამოხვალ ბათუმში, შენი დედაო...

და რა ჰქნა ბაკავოიმ?

დამცინავად ჩაიცინა და მაგინებელს ხელით მიუთითა საკუთარ, კარგად ცნობილ სხეულის ნაწილზე, ამას წეილებო. ეს ეპიზოდი კარგად დამამახსოვრდა, იმიტომ, რომ ჩვენს სტადიონზე საზღვრები არ არსებობს არაფრის. ყველაფერი კარგად ჩანს და ისე ისმის, თითქოს რადიფიცირებული იყოს.

რა მოვუხერხოთ ამ ამბავს?

ეთიკის კურსები ხომ არ დავუნიშნოთ მსაჯებს და ფსიქოლოგები ხომ არ მოვუყვანოთ ფეხბურთელებს? ორმხრივი გინება ქართულ სტადიონებზე ჯერჯერობით ძნელად თუ მოიკლებს, რადგან იქ საყოველთაო გინება მეფობს, მაგრამ ეგებ წამოწყებული მცდელობა მსაჯების კვალიფიკაციის ამაღლებისა და მათი თამაშის სამართლიან მმართველებად გარდასახვისა, მართლაც მოითხოვდეს რაღაც საგნების მოსმენას.

პროფესიული ლიგა ვართ, იმის გამო კი, რაც ჩვენს მინდვრებზე მოხდება ხოლმე, მინდორს გარეთ იჭერენ. ორივე მხარეს, სხვათა შორის.

აუჰ, ახლა დავფიქრდი, რა ძნელი საქმეა ამის მოწესრიგება.

როგორც პოლიტიკოსები იტყვიან, ნდობის საკითხია.

# ბარაქიანი სეზონის ლამაზი დასასრული

## ვერის ბაღში სპორტის სასახლის ბილეთები დარიგდა

გასულ უქმეებზე ვერის პარკის საკალათბურთო დარბაზში საქართველოს ჩემპიონატი გაიმართა ძიუდოში. ჩვენმა კიმონოსნებმა საერთაშორისო სეზონი მოილიეს და წლის მინურულს ქვეყნის ჩემპიონ-პრიზიორებიც გამოავლინეს, მათგან ნაკრების თავკაცობა თბილისის მსოფლიოს თასზე გამომსვლელებს შეარჩევს და რა თქმა უნდა, ტურნირის უძლიერესები მომავალ სეზონში ნაკრების კანდიდატებად განიხილებიან.

საქართველოს ჩემპიონატზე თითქმის ყველა ბობოლა და სახელიანმა ფალავანმა დაისვენა. ნესტორ ხერგიანი და ვახტანგ ხოსიტაშვილი (60 კგ), ზაზა კედელაშვილი და მინდია ხომეზური (66 კგ), დავით ქევხიშვილი (73 კგ), ზურაბ ზვიადაური და ირაკლი ცირეკიძე (90 კგ), ლომერ ჟორჟოლიანი (100 კგ), მძიმეწონოსნები — ლაშა გუჯეჯიანი და ზვიად ხანჯალიაშვილი თბილისის ტურნირზე შესარჩევი ეტაპის გაუვლელად იჭიდავებენ. მაგრამ საქართველოში ძლიერ და ნიჭიერ მოჭიდავეს რა გამოლევს და არც ვერის პარკის დარბაზში იგრძნობოდა ლამაზი ილეთების თუ უდაძაბულესი შეხვედრების ნაკლებობა. ეს ყველაფერი კი თითქმის სავსე და მშფოთვარე ტრიბუნების წინაშე ხდებოდა. მოდით, მოვლენებს ქრონოლოგიურად მივყვეთ



**60 კგ**
1 დავით სიმონიშვილი
2 ბეთქილ შუკვანი
3 უშანგი კუზანაშვილი
3 ამირან პაპინაშვილი

60 კგ წონით კატეგორიაში ფავორიტებად აჭარელი ამირან პაპინაშვილი და რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის წარმომადგენელი ბეთქილ შუკვანი განიხილებოდნენ. ამ ფალავნებმა დამაჯერებლად დაიწყეს ტურნირი, გზად ვინც შეეყარათ, საკმაოდ ადვილად გაუსწორდნენ, მაგრამ აფხაზეთის წარმომადგენელმა დავით სიმონიშვილმა ნახევარფინალში დამატებით დროში, პაპინაშვილს აჯობა და ფინალში გააღწია. ბეთქილ შუკვანი კი თავისი ლაღი ჭიდაობით ამარცხებდა მომხვდურთ. ნახევარფინალში აჭარელი უშანგი კუზანაშვილის ბარიერიც ორი ვაზარით გადალახა. ფინალში ყველასთვის მოულოდნელად და სრულიად დამსახურებულად სიმონიშვილმა კოკა-იუკოთი დაამარცხა სვანი მოჭიდავე. მესამე ადგილი კი პაპინაშვილმა და კუზანაშვილმა გაინაწილეს.

**66 კგ**
1 უჩა ხუციშვილი
2 დავით ასუმბანი
3 სანდრო იაკობიშვილი
3 ზებედა რეხვიაშვილი

ამ წონაში საქართველოში ზაზა კედელაშვილი მეფობს. ამჟამად მისი არყოფნით ყველასგან ნაქებ დავით ასუმბანს შეეძლო ეხეირა. დავითმა ტურნირი მშვენივრად დაიწყო — ჯერ შოთა ბეჟიტაშვილი ჩამოიშორა, შემდეგ აკაკი ლობჟანიძესაც სძლია ორიოდ წუთში, მაგრამ პირველი დაბრკოლება და რეალური წინააღმდეგობა შალვა ქარდავამ გაუწია. სვანეთის შვილმა შალვა მხოლოდ დამატებით დროში დაამარცხა. ნახევარფინალში აფხაზეთის წარმომადგენელი ზებედა რეხვიაშვილიც დასცა და ფინალში გავიდა.

მეორე საფინალო გზას კი უჩა ხუციშვილი მიუყვებოდა. გიორგი გუჯეჯიანის შემდეგ უჩა ვანო დავითაშვილს მოერია — არ წაუქცევია, მაგრამ მახჩობელა ილეთზე დაიჭირა და დააძინა, რამაც მთელემარე ექიმებიც გამოალვიძა და მაყურებელ-გულშემატკივრებში ჩოჩქოლიც გამოიწვია. შემდეგი ბარიერი ამ წონაში შარშანდელ ჩემპიონ სანდრო იაკობიშვილზე გადიოდა და იმარჯვა კიდეც.

დარჩა ერთი შეხვედრა, ფინალი. ხუციშვილმა ასუმბანს უდაძაბულესი ბრძოლა მოუწყო. ჩემპიონის გამოვლენას მეორე დამატებითი დრო დასჭირდა. ტრიუმფატორი ხუციშვილი შეიქნა. მესამე ადგილს კი იაკობაშვილმა და რეხვიაშვილმა უწიეს.

**73 კგ**
1 თენგიზ პაპოშვილი
2 დავით კუპრაშვილი
3 კახა მამულაშვილი
3 ზურაბ დილებაშვილი

თბილისის მსოფლიოს თასზე ამ წონაში ქართველთაგან გარანტირებული ადგილი მხოლოდ დავით ქევხიშვილს აქვს, დანარჩენი სამის ვინაობას კი ეს ტურნირი არკვევდა. ჩემპიონი თენგიზ პაპოშვილი გახდა, ვინც დავით კუპრაშვილი დასცა ფინალში. ყველასათვის მოულოდნელად, ზვიად ბაზანდარაშვილი მესამე ადგილზეც ვერ გავიდა.

**81 კგ**
1 საბა გავაშელიშვილი
2 გრიგოლ მავრიკიშვილი
3 ხვიჩა ხუციშვილი
3 ლევან ნიკლაური

შინაურ ძიუდოში ჩახედულებს კარგად მოეხსენებათ, თუ ამ წონაში როგორი კონკურენციაა გაჩაღებული. პირველკაცობაზე ბევრ სახელმოხვეჭილსა თუ დამწყებს აქვს პრეტენზია. გიორგი ბაინდურაშვილის და გრიგოლ შინჯიკაშვილის არყოფნაში საბა გავაშელიშვილს, გრიგოლ მამრიკიშვილსა და ლევან წიკლაურს ფავორიტობას ვერავინ ეცილებოდა, ფინალისტის ვინაობაც ამ მოჭიდავეებში გაირკვა. ნახევარფინალში მეოთხე კაცად 66 კგ-ში ჩემპიონ უჩა ხუციშვილის ძმა ხვიჩა ხუციშვილი ჩადგა და გავაშელიშვილთან სუფთაზე წააგო. აღსანიშნავია გავაშელიშვილის ეფექტური ჭიდაობა. მან ხუთი შეხვედრიდან ოთხი იპონით დაასრულა და საქართველოში უძლიერესის სახელიც მოიხვეჭა. საბას ფინალში უგამოცდილესი გრიგოლ მამრიკაშვილი ერგო, ვინც თავის მხრივ წიკლაურს სძლია იუკოთი და ვაზარით.

ფინალურ ჯახში მეტოქეები სიძლიერით ერთმანეთს არსად წაუვიდოდნენ. იყო მომენტი, როცა გრიგოლის ქომაგნი საბას გაფრთხილებასაც ითხოვდნენ, რასაც პასუხად გავაშელიშვილის იუკო და საიპონე ულამაზესი „წისქვილი" მოჰყვა.

**90 კგ**
1 ვალერი ლიპარტელიანი
2 ბესიკ ტყემალაძე
3 დავით ლორიაშვილი
3 იოსებ მსხალაძე

ამ წონაში საქართველოს ნაკრებს ზურაბ ზვიადაური და ირაკლი ცირეკიძე ჰყავს, მაგრამ მათ ნაკრებში ადგილს უნიჭიერესი 23-წლამდელთა ევროპის ჩემპიონი, ახლა უკვე ეროვნულის გამარჯვებული და თვალისმომჭრელად მოჭიდავე ვალერი ლიპარტელიანი აუცილებლად შეეცილება. ლიპარტელიანმა ტურნირზე ძიუდოს თითქმის მთელი არსენალი გამოიყენა და ფინალიც თავბრუდამხვევი კისრულით დაასრულა. ბოლო შეხვედრაში მისი მეტოქე მცხეთელი ბესიკ ტყემალაძე გახლდათ. ტყემალაძემაც სულ იპონებით იარა ფინალამდე, მაგრამ ლიპარტელიანთან ვერაფერი გააწყო და მეორე ადგილს დასჯერდა.

**100 კგ**
1 გიორგი ყიზილაშვილი
2 ლევან რაზმაძე
3 ზურა ტოპეშაშვილი
3 მინდია ბოდაველი

ჭალარა გოლიათის კიდევ ერთი ტრიუმფი, გიორგი ყიზილაშვილის ჭიდაობა სოლიდური და შთამბეჭდავია. ძიუდოს მოყვარული მისი ყურებით დიდ სიამოვნებას იღებს და შეხვედრების უმეტესობაც დასამახსოვრებელია. დალაქიშვილთან ორი ვაზარით, დულაშვილთან მე-19 წამზე ელვისებური იპონით, სამბოში მსოფლიოს ჩემპიონ მინდია ბოდაველთან მტკივნეული ილეთით, ხოლო ფინალში ლევან რაზმაძესთან ასევე ეფექტური სუფთა გდებით ავიდა 100 კილოვანთა შორის უპირველეს საფეხურზე ყიზილაშვილი და რომ არა ხანდახან მისი არასტაბილურობა, საერთაშორისო სარბიელზე უფრო მეტსაც მიაღწევდა.

**+100 კგ**
1 ზვიად ჩინჩალაძე
2 ადამ ოქრუაშვილი
3 გიგა გუბელაძე
3 ლევან მუქერია

გიგანტთა მარაქას ლაშა გუჯეჯიანი და ზვიად ხანჯალიაშვილი კი აკლდნენ, მაგრამ საკმაოდ დაძაბული ბრძოლების მომსწრენი გავხდით.

ზვიად ჩინჩალაძემ და ადამ ოქრუაშვილმა გვარიანი ოფლის ღვრით მიაღწიეს ფინალამდე. ნახევარფინალში შედარებით ტანჩია ჩინჩალაძეს მუქერიამ, ხოლო ოქრუაშვილს გუბელაძემ მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს. ჭიდაობაში ხომ წამით მოდუნებასაც არავინ გაპატიებს. ჰოდა, ფინალისტებმაც დაიჭირეს ნახევარფინალში თავიანთი მომენტები. ჩინჩალაძემ მუქერიას მოუგო, ოქრუაშვილმა კი სუფთაზე დასცა გუბელაძე. მერე ფინალურ ორთაბრძოლაში ჩინჩალაძემ ეფექტური ილეთით წამოაქცია გოლიათი ოქრუაშვილი და საჩემპიონო თასში ჩაწყობილი მანდარინი დანარჩენ პრიზიორებსაც ჩამოურიგა.



**ზურაბ მიგრიაული**

საქართველოს ჩემპიონატი

# საქართველოს ჩემპიონატი
## VIII ტური. 8 დეკემბერი. სპორტის სასახლე


რუსთაველი ზვიად ბაბიაშვილი „მაკაბის“ ფარს უტევს

# ავიამშენი დაბლა დაეშვა

**ვითა 73:78 დინამო**
*21:14 19:17 10:24 23:23*

ვითა: მარხვაშვილი (2), ბ. ბერიშვილი (4), მარკოიშვილი (16), მ. ბერიშვილი (22), ბერძენიშვილი (8); ნ. ნოზაძე (7), გვიმრაძე (7), ნივნივაძე (5), ლ. ნოზაძე (2)
დინამო: ჟღენტი (22), გულისაბედაშვილი (9), სიგუა (6), მაისურაძე (4), ათანელაშვილი (12), ახალკაცი (25), ნანიტაშვილი
მსაჯები: მაკა კუპატაძე, გურამ მიქელაძე
კომისარი: თენგიზ ქიქოძე

**ავიამშენი 78:85 თსუ**
*18:19 22:13 20:28 18:25*

ავიამშენი: ბერაია, შანიძე (6), ხოშტარია (12), ნიკოლაძე (27), კვიმსაძე (5), ტულუში (12), იმნაძე (7), ნინიაშვილი (5), როდუმტა (2), სუხიშვილი, მინაშვილი (2), ბარბაქაძე
თსუ: ფანჩულიძე (6), ჩიტაშვილი (10), მათიაშვილი (21), კობრეიძე (5), ყველაშვილი (4), ლოსაბერიძე, კეიდია (17), ხეცურიანი (20), ტყეშელაშვილი (2)
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, ხათუნა გაბედავა
კომისარი: როლანდ ხომერიკი

**მაკაბი 79:94 ენერჯი-ინვესტი**
*16:26 17:27 22:18 24:23*

მაკაბი: დ. ბერიშვილი (2), ი. ბერიშვილი (14), სორდია (6), გ. შერმადინი (29), ვაშაკიძე (5), პირველაშვილი (4), კორკოტაძე (6), კოლუაშვილი (5), ს. შერმადინი (8)
ენერჯი: გამყრელიძე (15), ბაბიაშვილი (12), სტეფანოვი (11), ბოისა (11), დიდია (6), ლეჟავა (15), ცეკვავა (8), ლიპარტელიანი (4), გოგობერიშვილი (12), ტუჯანი (4), ჭოჭუა (3)
მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, დავით არეშიძე
კომისარი: როლანდ გელოვანი

**ბოლო** ხანებში ხშირად ლაპარაკობენ, რომ ჩემპიონატში დაძაბულობამ იმატა და არგუმენტიც მოჰყავთ, რუსთაველი „ენერჯი-ინვესტის“ გარდა ყველა გუნდი ტოლძალოვანიაო. ამ არგუმენტმა სიმყარე გასულ შაბათს შეიძინა, როცა განახლებული და ამბიციური „ვითა“ ბოლო ტურებში წამოჩიტულმა „დინამომ“ დაამარცხა.

„ვითას“ შაბათამდე ამ სეზონში 2 თამაში წაეგო და ორივე „ენერჯი-ინვესტთან“. ანუ რუსთაველ გუნდსა და დანარჩენებს შორის „ვითა“ იყო წყალგამყოფი და ახლა ეს ჯებირიც მოიშალა. საქართველოს შვიდგზის ჩემპიონმა შაბათს ცხრილში თავისზე დაბლა მყოფთან წააგო და საბოლოოდ დადასტურდა, რომ „ენერჯი-ინვესტის“ გარდა ამ ჩემპიონატში ყველა თანაბარია.

არადა, „დინამოს“ ჯერ კიდევ პირველ წრეში შეეძლო „ვითას“ დამარცხება. მაშინ ზაზა ცაგარეიშვილის შეგირდებმა ბოლო წამებზე დაშვებული შეცდომის გამო ვერ მოიგეს — თამაში ოვერტაიმში გადაიზარდა და იქ „ვითამ“ იმარჯვა.

შაბათს ოვერტაიმი საჭირო არ გამხდარა. დინამოელებმა მებრძოლ ხასიათთან ერთად გადამწყვეტი მომენტების სწორად წარმართვის გამოცდილებაც შეიძინეს და ამბიციური „ვითა“ დაამარცხეს. არადა, თამაში ისე დაიწყო და პირველი ტაიმიც ისე ჩამთავრდა, ცოტა თუ იფიქრებდა, რომ „ვითას“ ფეხი დაუცდებოდა. ვლადიმერ ბეჟანიშვილის არყოფნა დიდი ვერაფერი უპირატესობა იყო „დინამოსთვის“, რაკი თავის მხრივ ცაგარეიშვილის გუნდსაც აკლდა ერთ-ერთი ლიდერი ლექსო ლაფანაშვილი.

მიხეილ ბერიშვილისა და გიორგი მარკოიშვილის ზუსტი სროლები „ვითას“ მთელი პირველი ტაიმი ასაზრდოებდა. „დინამო“ კონტრშესატევად იყო ჩასაფრებული, მაგრამ ამ საქმიდან თავიდან არაფერი გამოსდიოდა, რაკი ვითელები ჩუბინობდნენ და მეტოქეს „გაქცევის“ საშუალებას არ აძლევდნენ.

პირველი ტაიმი „ვითამ“ 40:31 მოიგო და საფრთხის მოახლოებას ვერსაიდან გრძნობდა, თუმცა თამაშის განახლებამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა. „დინამო“ საბრძოლოდ დამუხტული, სულ სხვა ჟინითა და მოტივაციით დაუბრუნდა მოედანს და მესამე მეოთხედის საწყისი წუთები 9:0 მოინადირა — ანგარიშიც გათანაბრდა, 40:40. დინამოელები ძირითადად გულივერ ახალკაცს ეყრდნობოდნენ, რომელმაც ფარქვეშ ფრთები გაშალა და როცა შორიდან დაბლებმაც მიზანმიმართულად დააქუხეს, „ვითა“ უმწეო აღმოჩნდა.

გადამწყვეტი მეოთხედის წინ „დინამო“ 55:50 იგებდა და საწყის წამებზე სხვაობა ათამდე გაზარდა. არჩილ ჟღენტმა შორიდან, რევაზ ათანელაშვილმა კი ფარქვეშიდან ჩააგდეს და ცაგარეიშვილის შეგირდებმა ანგარიში სათავისოდ დაამრგვალეს — 60:50.

გახურდა თანაბარი ბრძოლა. „დინამო“ მოპოვებული უპირატესობის შენარჩუნებას ცდილობდა, ხოლო „ვითა“ წაგების საფრთხის წინაშე იდგა და აუტსაიდერთან შერცხვენის თავიდან აცილება სურდა. მარკოიშვილმა და მიშა ბერიშვილმა (სხვებს ნაღდად ვერ გამოვარჩევთ ვითელთაგან), ისევ იყოჩაღეს და საფინალო სირენამდე 3 წუთით ადრე ჩამორჩენა 3 ქულამდე დაიყვანეს. აქ კი წავიდა წუთშესვენებები და ტაქტიკური ჯარიმები — „ვითას“ ძალიან არ უნდოდა წაგება და ყველაფერს აკეთებდა თავის გადასარჩენად. მარკოიშვილი იმდენად იყო მოწადინებული, რომ ათანელაშვილზე დაჯარიმება მეტად მძაფრად მოუვიდა და არასპორტული შენიშვნაც მიიღო. ამ ეპიზოდამდე გულივერ ახალკაცმა ორი საჯარიმო სროლის ჩაგდება მოახერხა და როცა ათანელაშვილმაც ერთი ქულა შემატა დინამოელთა აქტივს, „ვითა“ უიმედო მდგომარეობაში აღმოჩნდა.

„ვითას“ მარცხი არ ყოფილა გასული შაბათის ერთადერთი მოულოდნელობა. თუმცა რაც ხშირად ხდება, იმას მოულოდნელობას ვეღარ ვუწოდებთ და ვიცე-ჩემპიონი „ავიამშენის“ მარცხს თსუ-სთან რიგით ამბად მოგითხრობთ.

ლევან მოსეშვილის გუნდს ამ სეზონში ძალიან უჭირს. სუპერლიგის ყველაზე დიდი მოულოდნელობა სწორედ „ავიატორები“ არიან, რომლებსაც ისეთი შემადგენლობა ჰყავთ, ჩემპიონობაზეც გაიწევენ, თუმცა უკვე 5 თამაში წააგეს და ცხრილის ბოლო ადგილზე არიან.

ლევან მოსეშვილის გუნდს ახაფხულს კმაყოფილი იყო ტრანსფერებით, ძლიერი ხალხი შევიმატეთ და წინა სეზონზე უკეთესი თუ არა, უარესი შემადგენლობა ნამდვილად არ გვყავსო. წინა სეზონში „ავიამშენი“ ფინალში გავიდა და მწვრთნელის სიტყვებიდან გამომდინარე, ლოგიკურად ახლაც ამისთვის უნდა იბრძოლოს, თუმცა ამ წუთისთვის ისეთ დღეშია, პლეიოფსაც ვერ იმსახურებს.

„ავიამშენმა“ აქამდე „მაკაბისთან“ ორჯერ წააგო, რომ აღარაფერი ვთქვათ ჩემპიონატის ლიდერებთან წაფორხილებაზე და ახლა მოსეშვილის გუნდს თსუ-მაც გაჰკრა კბილი. წინა ტურშიც ბეწვზე გადარჩა ვიცე-ჩემპიონი — გიორგი ნიკოლაძეს სირენამდე 3 წამით ადრე სამქულიანი რომ არ ჩაეგდო, გამარჯვება „დინამოსი“ იყო. ერთი სიტყვით, „ავიამშენი“ ცუდ დღეშია და თუ გონს დროზე ვერ მოვიდა, ვინძლო პლეი ოფშიც ვერ გავიდეს. რაც შეეხება თსუ-სთან მატჩს, თავიდანვე გამოჩნდა, რომ „ავიატორები“ ფორმაში არ არიან. სტუდენტებმა პირველივე წუთებზე სოლიდური უპირატესობა მოიპოვეს, 12:1 დაწინაურდნენ, თუმც მოსეშვილის სამწყსომ მოახერხა გამოფხიზლება და ანგარიში ხომ გაათანაბრა, დიდ შესვენებამდე 8-ქულიანი უპირატესობითაც გავიდა — 40:32.

ეტყობა ამ გალიდერებამ დათვური სამსახური გაუწია „ავიამშენს“, რადგან დიდი შესვენების შემდეგ მოედანზე სულ სხვა გუნდი გამოვიდა. თსუ-მ ერთი მეოთხედი ანგარიშის გაბათილებას მოანდომა, ხოლო გადამწყვეტ ათწუთეულში კაპიტან შიო ხეცურიანისა და ირაკლი კეიდიას შეუპოვრობით მწარე განაჩენი გამოუტანა მეტოქეს.

ფედერაციას აშკარად არ გაუმართლა ცენტრალური მატჩის შერჩევის საქმეში, რადგან „მაკაბი“ — „ენერჯი-ინვესტმა“ აშკარად ვერ მიიზიდა მაყურებელთა ვერც ყურადღება და ვერც თვალი. რუსთაველებმა უთოლესად მოუგეს ჯამლეტ ხუხაშვილის გუნდს და სუპერლიგას წაუგებლად ლიდერობენ.

**ირაკლი ბერტაია**

**სატურნირო ვითარება**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ენერჯი-ინვესტი | 7 | 7 | 0 | 14 |
| ვითა | 7 | 4 | 3 | 11 |
| დინამო | 7 | 3 | 4 | 10 |
| თსუ | 7 | 3 | 4 | 10 |
| მაკაბი | 7 | 2 | 5 | 9 |
| ავიამშენი | 7 | 2 | 5 | 9 |


გელა წულაძის შეგირდებმა ესპანეთში ოთხივე მატჩი წააგეს

# ისკარში ქართველებმა ქარიც დაკარგეს და ფარიც

**ესპანური** ისკარის საერთაშორისო ტურნირზე თავი ვერაფრით გამოიჩინა საქართველოს კადეტთა ნაკრებმა. გელა წულაძის შეგირდებმა სადებიუტო მატჩში სლოვენიასთან არცთუ უიმედოდ წააგეს, მაგრამ ჯგუფის დანარჩენ შეხვედრებში სირცხვილი ჭამეს. ჩვენმა 16-წლამდელები ესპანეთთან და პოლონეთთანაც დამარცხდნენ, თუმცა ანგარიშს ნუ იკითხავთ...

თუკი პოლონეთთან წაგებას კიდევ აქვს ახსნა (55:90), ესპანეთთან წულაძის სამწყსომ თავი მოიჭრა. 40 წუთის მანძილზე ქართველებმა მხოლოდ 34 ქულა ჩაუგდეს მასპინძლებს და სანაცვლოდ კი 96 მიიღეს და ტურნირის ყველაზე დიდსხვაობიან მატჩში ერთგვარი წილი დაიდეს.

ვერავის გამოვარჩევთ ჩვენიანთაგან, რადგან ესპანეთთან შეხვედრაში ერთიც არ აღმოჩნდა ისეთი, ათქულიანი ზღვრისთვის რომ მიეღწია. და მაინც — 8 ქულით ქართველთაგან საუკეთესო იყო ნოდარ ტენეიშვილი, რომელმაც 2 შორის სროლა ჩაუგდო ესპანელებს.

გუშინ ჩვენებმა ტურნირის ბოლო მატჩი ითამაშეს და ყველაზე კარგად იქ წარმოაჩინეს თავი. წულაძის ბიჭები ბოლომდე ებრძოლენ მეორე ჯგუფის მაჩანჩალა უნგრეთს, მაგრამ საბოლოოდ წაგებას და შესაბამისად ბოლო ადგილს ვერ ასცდნენ. უნგრეთმა 72:69 დაამარცხა ქართველები, რომელთაგან 21 ქულით საუკეთესო მერაბ ბოქოლიშვილი გახდა.

**ირაკლი ბერტაია**

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ბოსტონური კომბაინი

## ულებრონო კავალერია მეექვსედ დამარცხდა

6 დეკემბერი

**სან ანტონიო 104:98 იუტა**
სან ანტონიო: ჯინობილი (37), პარკერი (16), ფინლი (15)
იუტა: ბუზერი (28 ქულა, 17 მოხსნა), უილიამსი (28 ქულა, 10 პასი)

**ნიუ ორლეანი 111:116 მემფისი**
*ძირითადი დრო 107:107*
ნიუ ორლეანი: პოლი (43), ვესტი (27)
მემფისი: გაი (31), გასოლი (26 ქულა, 10 მოხსნა, 7 პასი), მილერი (26)

**ვაშინგტონი 107:122 ფინიქსი**
ვაშინგტონი: ბლატჩი (19 ქულა, 10 მოხსნა), ჯემისონი (16 ქულა, 11 მოხსნა), მეისონი (15)
ფინიქსი: სტუდემაიერი (27), ბელი (22), ბარბოსა (20), ჰილი (18), მერიონი (12 ქულა, 10 მოხსნა), ნეში (12 ქულა, 19 პასი)

**ორლანდო 109:115 ინდიანა**
ორლანდო: ჰოვარდი (30 ქულა, 15 მოხსნა), ლუისი (24)
ინდიანა: გრეინჯერი (27), ტინსლი (20 ქულა, 10 პასი, 7 მოხსნა), ონილი (15)

**ფილადელფია 101:90 ნიუ იორკი**
ფილადელფია: დალმბერტი (20), იგუდალა (15), უილიამსი )15)
ნიუ იორკი: კროუფორდი (28), ლი (16 ქულა, 11 მოხსნა)

**დეტროიტი 91:98 ჩიკაგო**
დეტროიტი: ბილაფსი (27), ჰამილტონი (24), ვოლესი (18)
ჩიკაგო: ნოჩიონი (22), დენგი (17), ვოლესი (10 ქულა, 13 მოხსნა)

**ბოსტონი 112:84 ტორონტო**
ბოსტონი: გარნეტი (23), პირსი (18), ალენი (13)
ტორონტო: პარკერი (13)

**ნიუ ჯერსი 89:96 ჰიუსტონი**
ნიუ ჯერსი: კარტერი (32), ჯეფერსონი (29), კიდი (10 ქულა, 7 მოხსნა, 7 პასი)
ჰიუსტონი: მინი (25 ქულა, 11 მოხსნა), მაკგრეიდი (24)

**საკრამენტო 87:97 კლიპერსი**
საკრამენტო: არტესტი (21)
კლიპერსი: კამანი (26 ქულა, 12 მოხსნა), მაგეტი (18), ტომასი (17

**გოლდენ სტეიტი 120:113 მაიამი**
გოლდენ სტეიტი: ჯეკსონი (28), დევისი (25), ელისი (21)
მაიამი: ვეიდი (33 ქულა, 10 პასი), დევისი (20 ქულა, 10 მოხსნა), რაიტი (19 ქულა, 17 მოხსნა), ონილი (13 ქულა, 10 მოხსნა)

**სიეტლი 104:98 მილუოკი**
სიეტლი: დურანტი (35 ქულა, 8 მოხსნა, 5 დაფარება)
მილუოკი: რედი (41), ბოგუტი (13 ქულა, 11 მოხსნა)

7 დეკემბერი

**ატლანტა 86:78 მემფისი**
ატლანტა: ა. ჯონსონი (5), ჯ. ჯონსონი (17), მ. უილიამსი (17 ქულა, 10 მოხსნა), სტუდემაიერი (5), სმიტი (25); ჰორფორდი (8 ქულა, 14 მოხსნა), ლოუ (5), შ. უილიამსი (4), ვესტი, ჯონსი, რაიტი
მემფისი: სტუდემაიერი, მილერი (3), გაი (17 ქულა, 11 მოხსნა), გასოლი (13 ქულა, 10 მოხსნა), მილიჩიჩი (2); ლოური (15), ცორიკი (14), კონსი (12), ნავარო (2), ჯეკობსენი

**ჩიკაგო 81:92 ბოსტონი**
ჩიკაგო: ნოჩიონი (18), ჰაინრიხი (16), დენგი (15)
ბოსტონი: ალენი (21), რონდო (18), გარნეტი (16 ქულა, 9 მოხსნა, 7 დაფარება)

**შარლოტი 96:93 კლივლენდი**
შარლოტი: ვოლესი (22), ოკაფორი (19), რიჩარდსონი (18), ფელტონი (15)
კლივლენდი: ჰიუზი (22), ბრაუნი (15), გიბსონი (15)

**დალასი 125:117 იუტა**
დალასი: ჰოვარდი (10 ქულა, 12 პასი)
იუტა: უილიამსი (41), ბუზერი (24)

**მინესოტა 100:93 ფინიქსი**
მინესოტა: ჯეფერსონი (32 ქულა, 20 მოხსნა), იარიში (19), სმიტი, (16)
ფინიქსი: მერიონი (18), ბარბოსა (17), სტუდემაიერი (16), ნეში (14 ქულა, 15 პასი), ჰილი (13)

**ნიუ იორკი 77:105 ფილადელფია**
ნიუ იორკი: რობინსონი (25)
ფილადელფია: გრინი (18), იგუდალა (17), უილიამსი (14)

**დენვერი 101:97 საკრამენტო**
დენვერი: აივერსონი (23 ქულა, 10 პასი), მარტინი (20 ქულა, 12 მოხსნა, 5 დაფარება), კარტერი (17)
საკრამენტო: სამლონსი (25), უდრიჰი (24), გარსია (21)



დალასელმა ჯოშ ჰოვარდმა კარიერის რეკორდი დაამყარა

ზაზა ფაჩულიაზე კვლავ ჩამიჩუმი არ ისმის. კლუბიდან არ გამოსულა ცნობა, თუ როდის დაუბრუნდება „ატლანტა ჰოქსის" ქართველი ცენტრი ბურთს და მოედანს. ამასობაში კი ზაზას აგერ მეთხე მატჩი გაუცდა.

ფაჩულია ერთადერთი დანაკლისი როდია „ატლანტასთვის". შაბათს „ქორები" ჯოშ ჩილდრესის და ტაირონ ლუს გარეშე შეებნენ მემფისელ „დათვებს", დამაჯერებლად სძლიეს და მიუხედავად იმისა, რომ მოგება-წაგებების ბალანსი (9-10) კვლავაც უარყოფითი აქვთ, მაინც ინარჩუნებენ ადგილს აღმოსავლეთის გაერთიანებული ცხრილის შუაში. ბოლო ორი მატჩის მოგების წყალობით „ატლანტამ" ისეთი გუნდები ჩამოიტოვა, როგორებიც არიან „ნიუ ჯერსი", „კლივლენდი", „მილუოკი", რომ აღარაფერი ვთქვათ ამბიციაგაცრეცილ გრანდებზე „მაიამისა" და „ჩიკაგოზე".

„ჩიკაგო" თანდათან გონს მოდის, „მაიამი" ჯერ ვერა, მაგრამ თუ კრიზისზეა საუბარი, არ იქნება კიდევ და კიდევ არ გავიხსენოთ „კლივლენდი", რომელსაც ლებრონ ჯეიმსის დამტვრევის შემდეგ თამაში ტანჯვად ექცა და ვისაც არ ეზარება, ყველა თავში უტყაპუნებს. ლებრონის გარეშე ეს გუნდი, საერთოდ, არაფრის მაქნისი არაა. „შარლოტთან" მარცხი ზედიზედ მეექვსე გამოდგა ვიცე-ჩემპიონებისთვის.

სამაგიეროდ, თამაშს თამაშზე იგებს ბოლო წლების მაჩანჩალა, ამ სეზონის დაწყებამდე კი ფერფლიდან ფენიქსივით აღმდგარი „ბოსტონ სელტიქსი", რომელმაც ამ უქმეებზე ორ დღეში ორი იოლი გამარჯვება ჩაიწერა, ზედიზედ 6, ხოლო სეზონში 17 დაუგროვდა. „კელტებს" ისეთი რეზერვი აქვთ, რომ მათი ლიდერები არცთუ იშვიათად აძლევენ თავს წაზარმაცების უფლებას. ხან პოლ პირსი ჩათვლემს, ხან კი ალენი და ხანაც კევინ გარნეტი. თუმც „ბოსტონი" მაინც ისე მსუბუქად თელავს მეტოქეებს, როგორც კომბაინი მწიფე თავთავს.

უქმეებზე ბევრი საინტერესო მატჩი გაიმართა. ერთი მათგანი გამოვარჩიოთ: „დალასმა" მისთვის უჩვეულო სტილში, დაცვამოღლილ და შეტევაგაქანებულ თამაშში აჯობა „იუტას". ორივე გუნდში მოიძებნა თითო მოთამაშე, რომელმაც პირადი მონაგარი 4 ათეულ ქულას ააცილა. კარიერის რეკორდები დაამყარეს იუტელმა დერონ უილიამსმა და დალასელმა ჯოშ ჰოვარდმა. განსაკუთრებით მძლავრად ამ უკანასკნელმა ითამაშა. გუნდის ლიდერ დირკ ნოვიცკის ჩაფლავების ფონზე (გერმანელს მხოლოდ 16 ქულა მოუგროვდა), „დალასის" მეორე ოლსტარელმა ნამდვილად ვარსკვლავურად გაიბრწყინა, პრაქტიკულად, ყველაფერი ჩააგდო, რაც ესროლა (5-დან 4 სამქულიანი, 14-დან 10 ორქულიანი, 17-დან 15 საჯარიმო) და 47 ქულის მოხვეჭით კარიერის ძველ რეკორდს ერთბაშად 17 ქულით გადააჭარბა.

**ქოტე ყორშია**

# ლეჩხუმის ქუჩა

**ქუჩის** კალათბურთში საქართველოს ახალი ჩემპიონი ჰყავს. შარშანდელის მსგავსად, ფინალში ახლაც აჭარისა და ლეჩხუმის გუნდები შეხვდნენ, თუმცა ამჯერად გამარჯვება ლეჩხუმელებს დარჩათ და საქართველოს პრეზიდენტის სახელობის თასსაც ისინი დაეპატრონნენ.

ტურნირის შესარჩევი ეტაპი 2 კვირის წინ დაიწყო საქართველოს რეგიონებში. შედეგად 12 საუკეთესო გუნდი გამოვლინდა და ამ უქმეებზე თბილისში, ფილარმონიასთან მოწყობილ სტრიტბოლის მოედანზე, ქვეყნის ყველა რეგიონის ყოჩმა მოიყარა თავი.

ფინალური ეტაპის სპონსორობა და ორგანიზება სტრიტბოლის ასოციაციამ, თბილისის მერიამ და ნაციონალურმა მოძრაობამ ითავეს. ფილარმონიასთან გამართულ საინტერესო ბურთაობას თბილისის მერიის სპორტული სამსახურის უფროსი ზაზა დოლიძე დაესწრო, რომელმაც გადასცა კიდეც ლეჩხუმელებს პრეზიდენტის თასი.

ჯგუფური ეტაპი დაძლიეს ცხინვალის, აფხაზეთის, აჭარისა და ლეჩხუმის გუნდებმა, რომელთა შორისაც საინტერესო ნახევარფინალური მატჩები გაიმართა. აფხაზეთი 5:1 უგებდა აჭარას, დასრულებამდე 5 წუთი რჩებოდა და ასეთი სოლიდური უპირატესობის შენარჩუნება ველარ მოახერხა.

მეორე წყვილში უფრო საინტერესო და დრამატული ბურთაობა გაჩაღდა. ცხინვალი მიშა ამაშუკელის წინამძღოლობით 8:3 უგებდა ლეჩხუმს, თუმცა საქმის სათავისოდ დაგვირგვინება ვერ მოახერხა. ლეჩხუმელებმა მატჩი ოვერტაიმში გადაიყვანეს და იქ იოლად დაამარცხეს უმცირესობაში დარჩენილი ცხინვალელები.

ფინალი ვერ გამოვიდა დაძაბული: ლეჩხუმელებმა იოლად, 10:4 დაამარცხეს აჭარელები და ჩემპიონობა გაიფორმეს. ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ ყოფილი სტუელი გიორგი გაგნიძე დაასახელეს.

ფინალის გამარჯვებულს პრეზიდენტის თასთან ერთად 2000 ლარიც გადაეცა, ხოლო წაგებულმა აჭარამ 1000 ლარი ირგუნა.



გიორგი გაგნიძე (შუაში) ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს

**ირაკლი პერტაია**



# მაკინროის ბეჭედი: რუსული მაფია

**ამერიკელმა** ჩოგბურთის ლეგენდამ ჯონ მაკინრომ გამოთქვა ეჭვი, რომ შესაძლებელია, ორგანიზებული კრიმინალური ჯგუფები ერეოდნენ საჩოგბურთო საქმეებში. ამდაგვარი კრიმინალური ერთეულის მაგალითად მაკინრომ რუსული მაფია მოიყვანა:

„სერიოზულად მაშფოთებს იმის შესაძლებლობა, რომ რუსული მაფიის ტიპის დაჯგუფებები ხელებს აფათურებენ ჩოგბურთში და მატჩების ჩაწყობაში მონაწილეობენ".

მაკინრო აცხადებს, რომ არ არის გამორიცხული, მაფია ემუქრებოდეს ჩოგბურთელებს, ანაც მათი ოჯახის წევრებს და ასე აძალებდეს მატჩების „გაყიდვას":

„რატომღაც ასეთი შესაძლებლობისთვის ყურადღება არავის მიუქცევია. არადა, ჩოგბურთელზე ასე ზეწოლის მოხდენა უფრო რეალური ამბავია, ვიდრე ის, რომ ესა თუ ის მეჩოგნე თამაშებს შეგნებულად აგებს. ტოპმეჩოგნეებისგან — ამათში რეიტინგში პირველ ასეულში მყოფ ნებისმიერ ჩოგბურთელს ვგულისხმობ — გამორიცხულია კარიერის ასე გარისკვა. მათ ხომ მთელი ცხოვრება შეალიეს სახელის მოპოვებას და საეჭვოა, ის თუნდაც რამდენიმე ასეულ ათასს შესწირონ".

შევახსენებთ, რომ წლეულს ამ პრობლემამ სერიოზულად წამოიწია. ყველაზე ხმაურიანი ნიკოლაი დავიდენკოს მიმართ გამოთქმული პრეტენზიები იყო — რუსს ვარშავაში მატჩის შეგნებულად წაგებაში ადანაშაულებდნენ და მას ATP-ის წინაშე თავის მართლებაც დასჭირდა. შემდეგ ფილიპ კოლშრაიბერს მოუწია გერმანულ პრესაში მისი მისამართით გამოთქმული ეჭვების გაქარწყლება, ერთი თვის წინ კი იტალიელ ალესიო დი მაუროს დაუმტკიცეს ტოტალიზატორზე თამაში და 9-თვიანი დისკვალიფიკაციაც გამოუწერეს.

„დავიდენკოს შემთხვევაში ვერ წარმომიდგენია, ჭორები სიმართლე იყოს. ის ხომ მსოფლიოს მეოთხე ნომერია, ფულისთვის თამაში რაში უნდა სჭირდებოდეს. და თუ ეს ამბავი მართალი აღმოჩნდა, მაშინ სამუდამო დისკვალიფიკაციას იმსახურებს" — აგრძელებს მაკინრო.

აი, რეიტინგში დაბალ საფეხურებზე მდგარ ჩოგბურთელთა შორის კი ამერიკელი ლეგენდა არ გამორიცხავს ფულის ფაქტორს:

„იმ მეჩოგნეთა მოსყიდვა, ვინც ორასეულში ძლივს შედის ხოლმე, მგონი, გამორიცხული სულაც არ არის. აბა, წარმოიდგინეთ — ისინი წლის განმავლობაში 50 000 ფუნტამდე შოულობენ. მერე ვიღაც მივა მათთან და ამდენივე თანხას, ანაც მეტს, შესთავაზებს იმისთვის, რომ მთელი ძალით არ ითამაშოს. ეს დიდი ცდუნებაა და სულაც არ ვარ დარწმუნებული, რომ ბევრი გაუძლებს. სამწუხაროდ, დღეს ასეთი რეალობაა".

**კახა ლომაყმილი**

## ფყალბურთი


სოსო მაისურაძე

[illegible] ფოტო

# ძველი პრობლემებით ძველ უკრაინაში
## ფყალ(ბურთ)ფალებულები ჩავსს ეჭიდებიან

**გუშინ საქართველოს ნყალბურთელთა ნაკრები უკრაინაში გაემგზავრა იქაური ღია პირველობის პირველი ტურის მატჩებში მონაწილეობის მისაღებად. ნაკრებს ამ ეტაპზე ხუთი თამაშის გამართვა მოუწევს და მეტოქეებად — ლვოვის „დინამო", ხარკოვის „დინამო", კიევის „დინამო", „მარიუპოლი 2" და მოლდოვას ნაკრები ეყოლება. როგორც ხშირად, ახლაც გამგზავრება ბოლო მომენტშილა გადაწყდა ფინანსური პრობლემების გამო. ამიტომაც იყო, რომ ლეგიონერების ჩამოყვანა ვერ მოხერხდა და უკრაინაში მათ გარეშე მოუწევთ ფონს გასვლა. ერთადერთი, ვინც ლეგიონერის სტატუსით დაეხმარება ბიჭებს, გერმანულ „ჰანოვერში" მოთამაშე პავლე ჯაფარიძეა. უკრაინაში გამგზავრებამდე ნაკრების თავკაც სოსო მაისურაძეს გუნდსა და მომავალ გეგმებზე ვესაუბრეთ...**

— გამგზავრებამდე ერთი კვირით ადრე გავიგეთ, რომ უკრაინის პირველობაზე მონაწილეობის საშუალება მოგვეცემოდა. ჩვენი დიდი თხოვნა გიორგი გაბაშვილმა დააკმაყოფილა და ტურნირში მონაწილეობისთვის აუცილებელი თანხა მოგვცა. თუ პირველ ტურზე ვერ გავემგზავრებოდით, მერე იქ აღარ დაგვიშვებდნენ და გამოდიოდა, რომ მთელი წელი თამაშების გარეშე ვრჩებოდით, რაც კატასტროფის ტოლფასი იყო. ისიც სათქმელია, რომ აუზის პრობლემის მოგვარებას აღარ დაადგა საშველი. „ქარიშხალას" კომპლექსში მხოლოდ დღეში ერთი ვარჯიშის ჩატარების საშუალება გვაქვს და ისიც პირველ საათზეა დანიშნული, მაშინ, როდესაც ბიჭების უმეტესობა სამსახურებშია. აბა, რა ქნან, თავად ჩვენ ვერაფერს ვაძლევთ და თვითონაც არ იმუშაონ...

**— საუბარი იყო, რომ კლუბის დაარსებას აპირებდით, რატომ შეფერხდა ეს პროცესი?**

— სამწუხაროდ, ისევ გაურკვევლობაა. ჩემი ინფორმაციით, „ლაგუნა ვერეს" ახალი ხელმძღვანელობა აპირებს კლუბის დაარსებას, რაც ფრიად მისასალმებელია. მაგრამ, ალბათ, მარტამდე არაფერი იქნება. არადა, ხუთი ლეგიონერი უკვე ჩამოვიყვანეთ იმ პირობით, რომ აქ ითამაშებდნენ. მაგრამ არაფერი გამოვიდა და ამიტომაც ორი მათგანი — კოტე გეგელაშვილი და მიშა ბალათურია — მოსკოვის „დინამოში" დაბრუნდა. ბალათურიაზე ადრეც გითხარით, რომ ყაზახები ნაკრებში იწვევენ, ამით პეკინის ოლიმპიადაზე თამაშის პერსპექტივა უჩნდება. როგორ შევუშალოთ ხელი?

**— უკრაინაში ვინ მიგყავთ და რა მიზნები გაქვთ?**

— ზემოთ ნახსენები ჯაფარიძის გარდა ზურაბ რურუას, ბექა ქენქაძეს, ზურა ჭუმბურიძესა და სანდრო ხვედელიანს ვიახლებთ. დანარჩენი შვიდი კაცი კი პატარები მიგვყავს. ბევრი მათგანი სულაც დებიუტანტია. წარმოიდგინეთ, შვიდი ლეგიონერი გვაკლია. ამის გათვალისწინებით, მართლა არ ვიცი, როგორი შედეგი გვექნება, თან მეტოქეები კიდევ უფრო გაძლიერდნენ, ჩვენ კი დღეში ერთ ვარჯიშს ძლივს ვატარებთ. არადა, ბიჭები რომ ჩამოგვეყვანა, ასე პესიმისტურად აღარ ვიქნებოდი განწყობილი. იმასაც გეტყვით, რომ ბელარუსის ნაკრები, რომელსაც ყოველთვის ვუგებდით, ევროპის ჩემპიონატის მეორე ეტაპზე გავიდა. თან იმათ 24-25 წლის მოთამაშეები ჰყავთ, ჩვენ კი — ბევრად პატარები. მართლა გულსატკენია, რომ ასეთ ნიჭიერ თაობას ვერ ვიყენებთ. უკვე მომბეზრდა გაუთავებელ პრობლემებზე საუბარი, მაგრამ რა გავაკეთო? ახლაც ლამის დაშლის პირას ვიყავით და ბოლო მომენტში გადავრჩით. ჩვენ ბოლომდე ვეცდებით და იქნებ ცოტა სახელმწიფომაც მოგვხედოს. არავის საწინააღმდეგო არ მაქვს, მაგრამ სხვებს რომ ეხმარებიან, ჩვენ რა დავაშავეთ...

**— მაისში პატარებს ევროპის შესარჩევი ელით, დიდი ნაკრებიდან იქ რამდენს შეეძლება თამაში, ისინი ხომ გარკვეულწილად გამოცდილები არიან?**

— სანდრო რუსიშვილი და სანდრო ჭრელაშვილი პატარებსაც დაეხმარებიან. გამოიკვეთა მეკარე გიორგი საბაშვილიც. სხვებსაც ნელნელა ვაჩვევთ დიდებთან თამაშს. უკრაინაშიც გარკვეულ გამოცდილებას შეიძენენ და ვნახოთ...

**ლევან მაისურაძე**

## კრივი

# უმცროსი უფროსია
## მეივეზერის ზარმა ჰატონის თავზეც დარეკა

**გუშინ** გამთენიისას ლას-ვეგასის გრანდიოზულ „ემჯიემ გრანდში" დიდი ჯახი გაიმართა, რომელიც დეკადისა თუ არა, წლის ბრძოლა მაინც იყო. ერთმანეთს ხომ აქამდე დაუმარცხებელი მოკრივეები ეჯახებოდნენ. ამას ისიც დაუმატეთ, რომ რინგზე ფლოიდ მეივეზერ უმცროსის მაგვარი ოდიოზური ფიგურა უნდა გასულიყო და თავად მიხვდებით, ნევადაში რა მასშტაბის შოუს ელოდნენ.

„გრანდის" თითქმის 17 000-იანი დარბაზი პირთამდე ამიტომაც გაივსო. მაყურებელთა ნახევარი ყოფილი თუ მოქმედი მოკრივეები და ჰოლივუდის ვარსკვლავები იყვნენ. ბრძოლას კოლორიტს ისიც მატებდა, რომ დარბაზში ბრიტანელებსაც ბლომად მოეყარათ თავი — თავიანთ კერპ რიკი ჰატონს ნევადის უდაბნოში 20 000-მდე ბრიტი ჩაჰყვა, რომელთა მხოლოდ მცირე ნაწილმა შეძლო დარბაზში შესვლის უფლების მოპოვება. თუმც მთელი ბრძოლის განმავლობაში კუნძულელები არ გაჩერებულან და ყველაფერი გააკეთეს, რომ ჰატონს როგორც მშობლიურ მანჩესტერში, ისე ეგრძნო თავი.

ჩვენში დარჩეს და ჰატონს ამერიკაშიც ბევრი გულშემატკივრობდა. მეივეზერი იანკი კია, მაგრამ მისმა ლიმუზინებმა, ზედმეტმა თავხედობამ, უაზროდ ბევრმა ტლიკინმა და მეტოქეებისადმი ყოვლად უდიერმა დამოკიდებულებამ უკვე ოკეანისგაღმეთშიც ბევრი დაღალა. ამიტომაც მრავალი ამერიკელი კრივის სპეციალისტისა თუ უბრალო მოყვარულის ვარდისფერი ოცნება იყო ნაცემი და დაგლახავებული მეივეზერის ნახვა, თუნდაც ეს საქმე „გადამთიელ" ჰატონს ეკისრა.

სურვილი ერთია და რეალობა მეორე — იმ სპეციალისტთა უმრავლესობა, რომლებსაც რეალობისთვის თვალის გასწორების უნარი შერჩენოდა, გამარჯვებას მაინც მეივეზერს უწინასწარმეტყველებდა. კი, ბატონო, ჰატონი ჯიუტიცაა, ჯიქურ შემტევიც და გამძლეც, მაგრამ ბრიტანელი მაინც ნამეტანი სწორხაზოვანია. ამიტომაც ბევრი ამბობდა, ფლოიდი სულ სხვა ლიგის წარმომადგენელიაო. პროგნოზი ისეთი იყო, რომ დაცვის გენიად მონათლულ მეივეზერს (რომელსაც სახეში თითქმის ვერ არტყავენ ხოლმე, რის გამოც „ლამაზი ბიჭი" შეარქვეს) არ უნდა გასჭირვებოდა მეტოქის გაშიფვრა და მისთვის თავისი სტილის თავს მოხვევა. მოკლედ, დასკვნა ასეთი იყო — ფლოიდი ზედმეტად ნიჭიერია, ზედმეტად სწრაფია და ზედმეტად ჭკვიანია მანჩესტერელისთვისო.

იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ამბობდნენ, ჰატონს მაინც შეუძლია მეივეზერის გალახვა. საამისოდ საჭიროა, ბრიტანელმა მუდმივად იაქტიუროს, მეტოქე მარწუხებში მოაქციოს და თავისთვის ჩვეულად ბულდოგივით ჩააფრინდეს, რათა ამერიკელს ტაქტიკური ბრძოლის საშუალება მოუსპოს.

ჰატონმაც სცადა ამის გაკეთება და საწყისმა სამმა რაუნდმა მისი უპირატესობით ჩაიარა. და აქ გამოჩნდა, რომ მეივეზერის წინასაბრძოლო ლაყბობას ფუჭად არ ჩაუვლია — ჩანს, რიკი მაგრად გაბრაზებულა მეტოქეზე, რის გამოც მან პირდაპირი გაგებით მეივეზერის თავზე დაიწყო ნადირობა. ბრიტანელი არც ცდილობდა კორპუსში შეტევას (არადა, ეს მისი ერთ-ერთი მთავარი იარაღია) და მხოლოდ მეტოქის თავს უმიზნებდა, რამაც მისი ისედაც სწორხაზოვანი ბრძოლის სტილი კიდევ უფრო გაამარტივა. ამერიკელი კი ბუნებრივი სისხარტის წყალობით ადვილად იცილებდა რიკის დარტყმების უმრავლესობას და ბრიტანელის მუშტებიც ძირითადად ჰაერს აზანზარებდა.

ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, მეივეზერმა ბრიტანელს სამი რაუნდი აცალა და ორთქლი გამოაშვებინა. შემდეგ კი ამერიკელის ჯერი დადგა, რომელმაც კონტრშეტევებს თავი ანება და უკვე თვითონ გადავიდა შეტევაზე. პირველად ჰატონს მეოთხე რაუნდში გაუჭირდა, როცა მეივეზერმა რამდენიმე პირდაპირი გაატარა მარჯვენათი. აქვე ვთქვათ, რომ მეივეზერმა ბრძოლის წინა დანაპირები პირნათლად აასრულა — ფლოიდმა განაცხადა, ამ ბრიტანელს უბრალოდ არ მოვუგებ, არამედ მაგრადაც გავლახავ და ამიტომ ჩვეულ სიფრთხილეს არ გამოვიჩენო.

ეგრეც იყო, მეივეზერმა თითქმის არ გამოიყენა თავისი საფირმო ჯებები. ამას სტატისტიკაც გვეუბნება — ფლოიდმა მხოლოდ 72-ჯერ მოახვედრა ჯები მეტოქეს, რაც მისთვის კარიერაში ყველაზე დაბალი შედეგია. სამაგიეროდ, ამერიკელმა მშვენივრად გამოიყენა თავისი მარჯვენა, რომელმაც საბოლოოდ მოუღო კიდეც ბოლო ბრიტანელს. ეს მეათე რაუნდის შუაწელზე მოხდა, როცა მეივეზერი ჰატონის მოქნეულს გაერიდა და მარჯვენადი მწარედ შემოკრა, რითაც ბრიტანელი ფიცარნაგზე დაანარცხა. რიკი 9 დათვლაზე ძლივს წამოდგა, მაგრამ 15 წამში ამერიკელმა სამდარტყმიანი კომბინაცია ჩაატარა და მანჩესტერელი ისე დაბარბაცდა, რომ სანამ რეფერი ბრძოლის შეწყვეტას მოასწრებდა, ბრიტანელის სამწვრთნელო შტაბმა რინგზე პირსახოცი ისროლა დანებების ნიშნად.

„ამდაგვარ ჯახებში ყველაფერს ნიჭი, მეტოქისადმი ადაპტირება და ტაქტიკის სწრაფი ცვლილება წყვეტს. ფლოიდმა დღეს ეს ყველაფერი გვაჩვენა და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ჩვენი დროის უდავოდ ნომერ პირველი მოკრივეა" — აღტაცებას ვერ მალავდა ნახევარმძიმე წონაში ექსჩემპიონი ბერნარდ ჰოპკინსი, რომელსაც კვერს დარბაზში მსხდარი კრივის სხვა ლეგენდები — ლენოქს ლუისი, შუგარ რეი ლეონარდი — უკრავდნენ.

მართლაც, შეიძლება ის არ მოგვწონდეს, ანაც სულაც გძულდეს, მაგრამ ფაქტი სახეზეა — ფლოიდ მეივეზერ უმცროსი უდავოდ ამ ეპოქის უდიდესი მოკრივეა და ამას ვერსად გავექცევით.

**კახა ლომაშვილი**







ფლოიდ მეივეზერ-უმცროსმა რიკი ჰატონი რინგს ჩააგდო

ხელბურთი

# ძველმა ახალს თავი დაახრევინა



ნორვეგიელი ელზე-მარტე ლიბეკი რუსებმა ვერ შეაჩერეს

**მეორე** ჯგუფური ეტაპის მეორე ტურში ყველაზე მწვავე მსოფლიოს ამჟამინდელ ჩემპიონ რუსეთისა და რვა წლის წინანდელი ტრიუმფატორის, ნორვეგიის დაპირისპირება გამოდგა.

მიმდინარე ტურნირის 36 მატჩიდან ეს ყველაზე მწირგოლიანი თამაში იყო. სლავმა ქალებმა ტაიმი კი მოიგეს — 9:7, მაგრამ სკანდინაველებმა შესვენების შემდეგ მალე გაუთანაბრეს — 9:9, 10:10.

გამარჯვებულის გამოსავლენად გადამწყვეტი აღმოჩნდა შეიდწუთიანი მონაკვეთი, როცა ნორვეგიამ რუსებს ექვსი უპასუხო გოლი გაუტანა და 16:10 დაწინაურდა. ჩემპიონებმა დარჩენილ დროში კიდევ ერთხელ კი გაიბრძოლეს, მაგრამ თუნდაც ფრეს მისაღწევად ძალა აღარ ეყოთ და ისღა მოახერხეს, რომ დასკვნით წუთებზე ნატალია შიპილოვას ორი ზუსტი ტყორცნით ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირეს — 21:22.

ნორვეგიელებმა ამ გამარჯვებით, ისევე როგორც შორეულ 1962 წლის ჩემპიონმა რუმინელებმა, სამივე მატჩის მოგებით ვადამდე გაინაღდეს მეოთხედფინალში გასვლა და დასკვნით ორ ტურში შემადგენლობის ვარირების საშუალებაც მიეცათ.

უნგრელებთან დრამატულ ბრძოლაში ყაიმით გერმანიის ნაკრებმა პირველი ქულა კი დაკარგა, მაგრამ ამ ორივე გუნდსაც პრაქტიკულად უკვე განაღდებული აქვს საპლეიოფო საგზური.

აღსანიშნავია, რომ ამ უმწვავეს ჭიდილში 13-ჯერ აღინიშნა საყაიმო ანგარიში. ტაიმი მადიარმა ქალებმა მოიგეს — 17:14 და საფინალო სასტვენამდე ცხრა წუთით ადრე უკვე ოთხი ბურთითაც იყვნენ წინ, მაგრამ მერე მეტოქის ზედიზედ ექვსი ნატყორცნი გაუშვეს, თუმც ბოლო წუთზე ორი ზუსტი გასროლით ქულის და საპლეიოფო შანსის გადარჩენა შეძლეს — 30:30.

**გია ახალაძე**

## მსოფლიოს XVIII ჩემპიონატი

mondial 2007

ქალები. საფრანგეთი. 2–16 დეკემბერი

### მეორე ჯგუფური ეტაპი

**პირველი ჯგუფი (მეცი)**

ანგოლა 34:28 ხორვატია

საფრანგეთი 29:23 მაკედონია

ნორვეგია 22:21 რუსეთი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 3 | 0 | 0 | 88:69 | 6 |
| რუსეთი | 2 | 0 | 1 | 78:69 | 4 |
| საფრანგეთი | 2 | 0 | 1 | 84:78 | 4 |
| ანგოლა | 2 | 0 | 1 | 89:87 | 4 |
| ხორვატია | 0 | 0 | 3 | 79:92 | 0 |
| მაკედონია | 0 | 0 | 3 | 67:90 | 0 |

**მეორე ჯგუფი (დიჟონი)**

გერმანია 30:30 უნგრეთი

კორეა 37:33 პოლონეთი

რუმინეთი 32:19 ესპანეთი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 3 | 0 | 0 | 101:79 | 6 |
| გერმანია | 2 | 1 | 0 | 92:81 | 5 |
| უნგრეთი | 1 | 2 | 0 | 84:82 | 4 |
| კორეა | 1 | 0 | 2 | 90:96 | 2 |
| ესპანეთი | 0 | 1 | 2 | 70:88 | 1 |
| პოლონეთი | 0 | 0 | 3 | 92:103 | 0 |

ოლიმპიზმი

# ცოცხლები, ჩქარა!




**გერმანიის** ოლიმპიურ კომიტეტში დიდი ფუსფუსია. ბავარიის დედაქალაქი, გერმანიის ერთ-ერთი უდიდესი, უმდიდრესი და ულამაზესი ქალაქი მიუნხენი 2018 წლის ზამთრის ოლიმპიადისთვის ბრძოლაში ჩაბმას აპირებს.

სანამ მიუნხენი, როგორც ქალაქი-კანდიდატი, საერთაშორისო არენაზე გამოვა და თეთრი ოლიმპიადის მასპინძლობის სურვილს ოფიციალურად განაცხადებს, ჯერ შიდა პრობლემები აქვს მოსაგვარებელი, მაგრამ, როგორც ირკვევა, მას ეს პრობლემები არც აქვს. ჯერჯერობით არავის გამოუთქვამს უკმაყოფილება იმით, რომ მიუნხენმა ოლიმპიადა მიიღოს. ქვეყნის ოლიმპიური მამებით და პოლიტიკოსებით დაწყებული, ქუჩაში კითხვადასმული გამვლელებით დამთავრებული, ყველა ნამდვილი გერმანული ერთსულოვნებით იწონებს ამ იდეას და თითოეული მათგანი მზადაა, თავისი წვლილი შეიტანოს საერთო გამარჯვებაში. ეს კი ჩვენს მშფოთვარე და მერყევი ცნობიერების ეპოქაში ცოტა გასაკვირია. ასე მაგალითად, ბრიტანეთის დედაქალაქი ლონდონი რომ იყრიდა კენჭს 2012 წლის ზაფხულის ოლიმპიადის მასპინძლობისთვის, მაშინ თავად ლონდონის მოსახლეობის და სპორტულ მოხელეთა თითქმის ნახევარი ამ ოლიმპიადის წინააღმდეგ იყო: ესაო, ისაო — ტერორისტების სამიზნე გავხდებითო... ისედაც მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე გადატვირთულ ქალაქში კიდევ მეტი ქაოსი დაისადგურებს და ხეირსაც ბევრს ვერაფერს ვნახავთო... მოკლედ, ოპოზიცია მძლავრობდა.

გერმანელებში კი ერთიც არ გამოჩენილა, რომელიც ხმამაღლა გამოთქვამდა უკმაყოფილებას. ყველა ისე მზად და თანახმაა, როგორც ერთი. როგორც ბავარიის მიწის კანცელარია იუწყება, ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტის უკლებლივ ყველა წევრმა მხარი დაუჭირა ამ იდეას. უკან არც პოლიტიკოსები იხევენ. მოკლედ, მთელი გერმანია კიდევ ერთხელ ერთიანდება ახალი იდეისთვის ხორცის შესასხმელად.

„ჩვენ გვაქვს ყველა შანსი, რომ 2018 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძლობის უფლება მოვიპოვოთ. მოდით, კიდევ ერთხელ ყველამ ერთად შევთხზათ ახალი ზღაპარი, რომელსაც „გერმანიის ზამთრის ზღაპარს დავარქმევთ" — თქვა ბავარიის პრემიერ-მინისტრმა გიუნტერ ბაკშტაინმა.

არც მიუნხენის ობერ-ბურგომისტრი (უბრალოდ რომ ვთქვათ, მერი) კრისტიან უდე მსჯელობს ნაკლებად მგზნებარედ — „ჩვენ გვინდა, გავხდეთ მსოფლიოს პირველი ქალაქი, რომელიც 1972 წლის ზაფხულის თამაშების შემდეგ ზამთრის თამაშებსაც უმასპინძლებს. ჩვენ ყველაზე კარგად ვასრულებთ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მითითებას იმის თაობაზე, რომ 1972 წლისთვის აგებული სპორტული ნაგებობები ინტენსიურად გამოვიყენოთ და ქვეყანაში სპორტი განვავითაროთ."

ტომას ბახი, გერმანიის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი: „კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ ჩვენ შეგვიძლია ერთად დგომა და ერთად გამარჯვება. კომიტეტში შიდა კენჭისყრის შედეგები, უბრალოდ, განსაცვიფრებელია და აქედანვე ოპტიმისტურად განგვაწყობს."

მაშ ასე: გადაწყდა, რომ მიუნხენი იბრძოლებს 2018 წლის ოლიმპიადისთვის. უდემ ასეთი გეგმა წარუდგინა სრულიად გერმანიას — „2009 წელს გავამზადებთ სრულფასოვან განაცხადს. დიდი იმედი გვაქვს, რომ 2010 წლისთვის სოკ-ისგან მოვიპოვებთ „კანდიდატი ქალაქის" სტატუსს, 2011 წელს კი ყველა დაშვებული ხერხით ვეცდებით სოკ-ის კენჭისყრის მოგებას. მანამდე კი ყველას გთხოვთ, მოვკიდოთ ცოცხებს ხელი და ჩვენი ლამაზი ქალაქი კიდევ უფრო გავაწკრიალოთ."

**კოტე ყორშია**

ჭადრაკი

## მსოფლიოს თასი

ხანტი-მანსიისკი. რუსეთი. 22 ნოემბერი – 18 დეკემბერი

### მეოთხედფინალი

| | | |
|---|---|---|
| ალექსეი შიროვი (ესპანეთი) | 1:0, 1:0 | დმიტრი იაკოვენკო (რუსეთი) |
| სერგეი კარიაკინი (უკრაინა) | 0,5:0,5; 0,5:0,5; 0,5:0,5; 1:0 | ევგენი ალექსეევი (რუსეთი) |
| მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) | 1:0; 0,5:0,5 | ივან ჩეპარინოვი (ბულგარეთი) |
| რუსლან პონომარიოვი (უკრაინა) | 0,5:0,5; 0:1 | გატა კამსკი (აშშ) |

# პატარებმა თასი გაითავისეს

**მერვედფინალში** თითქმის ყველა ფავორიტი გამოეთიშა ასპარეზობას და მომდევნო ეტაპზე ძირითადად ახალგაზრდები გავიდნენ.

17 წლის სერგეი კარიაკინი, რომელმაც წინა ტურში ვასილ ივანჩუკის გამომგდები რუმინელი ლივიუ-დიტერ ნისიპეანუ დაამარცხა, ევგენი ალექსეევს დაუპირისპირდა და დაძაბულ ბრძოლაში 2,5:1,5 მოუგო. ძირითადი დროის ორივე შეხვედრა ყაიმით დასრულდა, ტაიბრეიკებში კი უფრო ყოჩაღი უკრაინელი აღმოჩნდა, რუსი თეთრებით დაამარცხა და ნახევარფინალში გავიდა.

საინტერესო გამოდგა 17 წლის მაგნუს კარლსენისა და მასზე სამი წლით უფროს ივან ჩეპარინოვის შეხლაც. ორივე მოჭადრაკე მსოფლიოს თასზე ორი წლის წინაც გადაეყარა ერთმანეთს და მაშინ გამარჯვება ვიკინგს დარჩა. ამ მსოფლიოს თასისთვის კი ბულგარელი უკვე კარგად მოემზადა, დიდ ვესელინ ტოპალოვთან კონსულტაციები გაიარა და ცივ ხანტი-მანსიისკს მთელი გუნდით ეწვია. „მსოფლიოს თასი ჩემთვის სერიოზული ტურნირია და აქ დიდი გუნდით ჩამოვედი. ბევრს ვმუშაობთ, რაც ჩემთვის მნიშვნელოვანია და ყველა მეტოქეს მოსაგებად ვეთამაშები" — განაცხადა ბულგარელმა.

როგორც გამოჩნდა, ნორვეგიელის დასამარცხებლად ტოპალოვის რჩევები არ აღმოჩნდა საკმარისი. კარლსენმა 21 წლის ბულგარელი ორ რაუნდში 1,5:0,5 დაანოკაუტა და სახლში გაუშვა.

ნახევარფინალში გავიდა ესპანეთის სახელით მოთამაშე ალექსეი შიროვი. მან დმიტრი იაკოვენკოს ორივე პარტია მოუგო და ახლა კარიაკინს დაუპირისპირდება.

**ლაშა გეგეჭკორი**




ჰოკეი

## რეგულარული ჩემპიონატი

### 7 დეკემბერი

**ნიუ ჯერსი 3:2 ვაშინგტონი**

*2:0 0:0 1:2*

1:0 ვიშნევსკი (12), 2:0 ზუბრუსი (16), 2:1 სიომინი (46), 3:1 ზაიაჩკი (47), 3:2 ლაიხი (59)

**ატლანტა 4:3 რეინჯერსი**

*1:2 1:1 2:0*

1:0 ბულტონი (3), 1:1 მარსელ ჰოსა (5), 1:2 დრური (7), 1:3 დუბინსკი (21), 2:3 დიუპუი (26), 3:3 კოზლოვი (55), 4:3 მარიან ჰოსა (60)

**ფლორიდა 3:0 აილენდერსი**

*0:0 1:0 2:0*

1:0 ვაიზი (29), 2:0 ჰორტონი (44), 3:0 ოლესენი (60)

**დეტროიტი 5:0 მინესოტა**

*1:0 3:0 1:0*

1:0 ზეტერბერგი (18), 2:0 ზეტერბერგი (26), 3:0 გუდლერი (27), 4:0 ფრენცენი (30), 5:0 ზეტერბერგი (41)

**ჩიკაგო 3:5 ანაჰაიმი**

*1:1 1:2 1:2*

1:0 ტოიესი (2), 1:1 პერი (14), 2:1 შარპი (21), 2:2 კუნიცი (28), 2:3 შნაიდერი (32), 2:4 გეცლაფი (45), 3:4 ლანგი (59), 3:5 კუნიცი (60)

**დალასი 3:4 ოტავა**

*1:2 0:0 2:2*

0:1 შუბერტი (6), 1:1 ჰაგმანი (8), 1:2 ვერმეტი (17), 1:3 ფიშერი (47), 2:3 რიბეირო (59), 2:4 კელი (60), 3:4 ჰელპერნი (60)

**კოლორადო 2:1 ფილადელფია**

*0:0 2:1 0:0*

1:0 ბრუნეტე (28), 1:1 ბრიარი (38), 2:1 ჰეიდუკი (40)

**ედმონტონი 3:4 სენტ ლუისი**

*1:1 0:0 2:3*

0:1 ბოიესი (11), 1:1 ჰორკოფი (19), 1:2 ბოიესი (44), 1:3 უაიტი (45), 2:3 ნილსონი (53), 2:4 კარია (55), 3:4 რიზონერი (60)

**ფინიქსი 0:1 სან ხოსე**

*0:0 0:1 0:0*

0:1 მიხალეკი (40)

### 8 დეკემბერი

**კოლუმბუსი 1:2 მინესოტა**

*0:1 1:0 0:1*

0:1 ვორონში (14), 1:1 ჟერდევი (21), 1:2 როლსტონი (43)

**ვაშინგტონი 6:3 ატლანტა**

*2:0 3:1 1:2*

1:0 ბექსტრომი (9), 2:0 შულცი (10), 3:0 პეტინგერი (25), 3:1 უაიტი (53), 4:1 ოვეჩკინი (35), 5:1 გრინი (36), 6:1 გრინი (46), 6:2 უაიტი (48), 6:3 პოლიკი (50)

**მონრეალი 1:5 კაროლინა**

*0:2 1:2 0:1*

0:1 კოული (4), 0:2 სტაალი (13), 1:2 კოსტიცინი (30), 1:3 ბრინდამორი (32), 1:4 უიტნი (30), 1:5 უიტნი (47)

**ტამპა 2:3 აილენდერსი**

*0:0 0:1 2:1 0:1 (ოვერტაიმში)*

0:1 გერინი (33), 1:1 რიჩარდსი (44), 1:2 ჯილბერტი (51), 2:2 რიჩარდსი (54), 2:3 სელინჯერი (65)

**ნეშვილი 4:2 ანაჰაიმი**

*2:0 1:1 1:1*

1:0 ტუტუ (6), 2:0 რადულოვი (20), 3:0 სუტერი (30), 3:1 პერი (35), 4:1 სმიტსონი (50), 4:2 გეცლაფი (57)

**ვანკუვერი 1:2 პიტსბურგი**

*0:1 0:0 1:0 0:0 (0:1 ბულიტებით)*

0:1 სიკორა (19), 1:1 კესლერი (44)

**ლოს ანჯელესი 2:4 ფინიქსი**

*1:1 0:1 1:2*

1:0 კოპიტარი (7), 1:1 ჩარნკვისტი (19), 1:2 ვრბატა (42), 2:2 ენძუში (51), 2:3 ბალარდი (53), 2:4 დოუნი (60)

**სან ხოსე 1:2 ბუფალო**

*1:0 0:4 0:3*

1:0 ოზოლინში (15), 1:1 კოტალიკი (25), 1:2 კონოლი (28), 1:3 რაიანი (33), 1:4 ჰოლსტადი (38), 1:5 როი (53), 1:6 ჰოლსტადი (57), 1:7 ვანეკი (58)

# ავტოხალხი ავტოების გარეშე





**კვირას** მონაკოში ავტოსამყაროს რჩეულთა გალა-წარმოდგენა იყო. იქ იყო ყველა, ვისაც რაიმე შეხება აქვს საავტომობილო სპორტთან და ამ მილეთის ხალხში ყველაზე გამორჩეულნი, ბუნებრივია, უკვე გასრულებული სეზონის გმირები იყვნენ: ფორმულა-1-ის ახალი გვირგვინოსანი, ფინელი კიმი რაიკონენი და მის მიერ უდაძაბულეს ბრძოლაში ძლეული — სეზონის ბრიტანელი სენსაცია ლუის ჰემილტონი და აწ უკვე ექსჩემპიონი ესპანელი ფერნანდო ალონსო; რალის ოთხგზის ტრიუმფატორი, ფრანგი სებასტიენ ლოები და ამ უკანასკნელთან ფორმულა-1-ზე არანაკლებ დრამატულ ბრძოლაში დამარცხებული ფინელი მარკუს გრონჰოლმი, ვინაც ეგრეც ვერ მოახერხა პენსიაზე გასვლის წინ მესამე საჩემპიონო გვირგვინის მოპოვება...

სხვებიც იყვნენ, ავტოსპორტის სხვა სახეობათა გამორჩეული ხალხი და თავად ავტოსპორტის მამები, ვთქვათ მაქს მოსლი, ბერნი ეკლსტოუნი და „ფერარის" ფრანგი დიდოლრაში ჟან ტოდტი, აგრეთვე ძველები, ისეთები, როგორიც, თუნდაც კარლოს საინსია...

ავტოხალხის შოუ მონაკოში იყო და ბუნებრივია, ამ წარმოდგენას იქაურობის თავადი ალბერ მეორე მასპინძლობდა.

გვარიანი ყეენობა გამოვიდა. ბორბლები და ძრავები არ იყო. ბორბლების და ძრავების ხალხი სულ კოსტუმ-სმოკინგ-ფრაკებში იყვნენ გამოწყობილნი.



AFP მონაკოდან



AFP მონაკოდან




# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | გერმანია. II ბუნდესლიგა<br>10 დეკემბერი | | | | | | |
| 23:45 | 110 | ფრაიბურგი-მიონხენგლადბახი | 2.40 | 3.20 | 2.70 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| | | საფრანგეთი. II დივიზიონი<br>10 დეკემბერი | | | | | | |
| 23:00 | 214 | ლე ავრი-მონპელიე | 1.80 | 3.00 | 4.45 | 1.12 | 1.28 | 1.79 |
| | | ჩეხეთი<br>10 დეკემბერი | | | | | | |
| 20:15 | 68 | სპარტა-პლზენი | 1.35 | 4.20 | 7.50 | 1.02 | 1.14 | 2.69 |
| | | ჩემპიონთა ლიგა<br>11 დეკემბერი | | | | | | |
| 23:45 | 297 | მარსელი-ლივერპული | 4.10 | 3.30 | 1.80 | 1.82 | 1.25 | 1.16 |
| 23:45 | 298 | პორტუ-ბეშიქთაში | 1.45 | 4.00 | 6.20 | 1.06 | 1.17 | 2.43 |
| 23:45 | 300 | ჩელსი-ვალენსია | 1.70 | 3.40 | 4.60 | 1.13 | 1.24 | 1.95 |
| 23:45 | 302 | შალკე-როზენბორგი | 1.35 | 4.20 | 8.00 | 1.02 | 1.15 | 2.75 |
| 23:45 | 304 | რეალი-ლაციო | 1.38 | 4.20 | 7.60 | 1.03 | 1.16 | 2.70 |
| | | 12 დეკემბერი | | | | | | |
| 23:45 | 307 | რეინჯერსი-ლიონი | 2.95 | 3.20 | 2.25 | 1.53 | 1.27 | 1.32 |
| 23:45 | 308 | ბარსელონა-შტუტგარტი | 1.45 | 3.80 | 7.00 | 1.04 | 1.20 | 2.46 |
| 23:45 | 310 | რომა-მანჩესტერი | 1.95 | 3.30 | 3.60 | 1.22 | 1.26 | 1.72 |
| 23:45 | 311 | სპორტინგი-დინამო კ | 1.65 | 3.40 | 5.30 | 1.11 | 1.25 | 2.07 |
| 23:45 | 312 | პსვ-ინტერი | 2.05 | 3.20 | 3.40 | 1.24 | 1.27 | 1.64 |
| 23:45 | 313 | ფენერბაჰჩე-ცსკა მ | 1.30 | 4.60 | 9.00 | 1.01 | 1.13 | 3.04 |
| 23:45 | 315 | არსენალი-სტიაუა ბქ | 1.30 | 4.60 | 9.00 | 1.01 | 1.13 | 3.04 |
| 23:45 | 317 | სლავია-სევილია | 3.90 | 3.30 | 1.90 | 1.78 | 1.27 | 1.20 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10110 | ფრაიბურგი-მიონხენგლადბახი | 2.80 | 2.00 | 3.05 | 1.16 | 1.45 | 1.20 |
| 10214 | ლე ავრი-მონპელიე | 2.20 | 2.10 | 4.30 | 1.07 | 1.45 | 1.41 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11110 | ფრაიბურგი-მიონხენგლადბახი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11214 | ლე ავრი-მონპელიე | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12110 | ფრაიბურგი-მიონხენგლადბახი | 1.90 | 1.70 |
| 12214 | ლე ავრი-მონპელიე | 1.60 | 1.90 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13110 | ფრაიბურგი-მიონხენგლადბახი | 1.70 | 1.90 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს (მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14110 | ფრაიბურგი-მიონხენგლადბახი | 1.85 | 1.95 |
| 14214 | ლე ავრი-მონპელიე | 1.65 | 2.30 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15110 | ფრაიბურგი-მიონხენგლადბახი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15214 | ლე ავრი-მონპელიე | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16110 | ფრაიბურგი-მიონხენგლადბახი | 1.70 | 1.95 |
| 16214 | ლე ავრი-მონპელიე | 1.30 | 3.00 |

### გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17110 | ფრაიბურგი-მიონხენგლადბახი | 1.85 | 1.95 |
| 17214 | ლე ავრი-მონპელიე | 1.85 | 1.95 |

შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

# ინგლისმა ლიპის ჩააკითხა



**ინგლისის** ნაკრები კვლავ უთავკაცოდაა და კვლავაც გრძელდება გაუთავებელი მითქმა-მოთქმა იმის შესახებ, თუ ვინ ჩაიბარებს ამ პოსტს.

შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ მწვრთნელების ხუთკაციანი სავარაუდო სია გამოქვეყნდა — ჟოზე მაურინიუ, ფაბიო კაპელო, მარტინ ონილი, იურგენ კლინსმანი და მარჩელო ლიპი. ამ ხუთი სპეციალისტიდან ამჟამად „დასაქმებული" მხოლოდ ერთია — ონილი ბირმინგემის „ასტონ ვილას" წვრთნის.

ერთადერთი მწვრთნელი, რომელმაც თავისი პირით თქვა, ინგლისს სიამოვნებით გავწვრთნიდიო, კაპელოა. თავიდან ფავორიტად სწორედ დონ ფაბიო მიიჩნეოდა.

შემდეგ სავარაუდო სიას სათავეში მაურინიუ ჩაუდგა, რომლის აგენტმაც თქვა, თუ ოფიციალურ შემოთავაზებას მივიღებთ, ჟოზე სიამოვნებით იფიქრებსო და ყველა პორტუგალიელზე გადაერთო. თუმცა გუშინ სხვაგვარი ცნობა გავრცელდა — მაურინიუს წამყვანი კლუბებიც ეპატიჟებიან და ინგლისის ნაკრებზე სულაც აღარ ფიქრობსო...

ახლა კი, ბოლო ინფორმაციით, ფავორიტი სულ სხვაა — ლიპი. „კორიერე დელო სპორტის" ცნობით, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის წარმომადგენელი უკვე ჩაფრინდა იტალიაში, ჭაღარა სპეციალისტს ესაუბრა და მხარეებს წინასწარი შეთანხმებისთვის მიუღწევიათ.

„ჩვენი მიზანი ნაკრებში ყველაზე კარგი კანდიდატის მიყვანაა. ამისთვის ყველანი თავდაუზოგავად ვმუშაობთ და ჯერჯერობით ყველაფერი კარგად მიდის" — თქვა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თავმჯდომარემ ჯეფ ტომპსონმა.

შეგახსენებთ, რომ ლიპი მწვრთნელობისგან 2006 წლის მუნდიალის მერე ისვენებს, სადაც „სკუადრა აძურა" ტრიუმფამდე მიიყვანა. ლიპიმ ახლახან თქვა, საქმიანობის განახლება მინდა, ოღონდ კლუბს შუა სეზონში არ ჩავიბარებ და ფეხბურთში აქტიურად ალბათ მომავალ ზაფხულს დავბრუნდებიო, მაგრამ ნაკრებზე არაფერი უთქვამს...

ინგლისი კი მას შემდეგ უთავკაცოდაა, რაც სტივ მაკლარენმა ნაკრები ევრო 2008-ზე ვერ გაიყვანა.

**გიორგი ქაქაბაძე**

# დინამოს სიომინი დაუნიშნეს



**კიევის** „დინამოს" ახალი მწვრთნელი იური სიომინი გახდა. შაბათს რუსი სპეციალისტი კლუბის პრეზიდენტმა იგორ სურკისმა ოფიციალურად წარადგინა.

„დინამო" მიმდინარე სეზონში საშინლად გამოდის, როგორც ეროვნულ ჩემპიონატში ასევე ევროსარბიელზე. ოლეგ ლუჟნის შეცვლის მიზეზიც სწორედ ეს გახდა.

რუსეთის ნაკრების, მოსკოვის „ლოკომოტივისა" და მოსკოვის „დინამოს" ყოფილი მწვრთნელი ოლეგ ლუჟნის, იოჟეფ საბოსა და ანატოლი დემიანენკოს შემდეგ, „დინამოს" მეოთხე თავკაცია სამ თვეზე მცირე პერიოდში.

„ჩვენი და სიომინის პრიორიტეტები ერთმანეთს ემთხვევა. ასე რომ, დარწმუნებული ვარ, კლუბში ვითარება მალე გამოსწორდება" — თქვა სურკისმა.

იური სიომინი: „არ ვეთანხმები მოსაზრებას, თითქოს „დინამო" სერიოზულ კრიზისში ყოფილიყოს. კიეველებს ბრწყინვალე, დიდი ტრადიციების კლუბი ჰყავთ და სეზონის მეორე ნაწილში ვითარებას აუცილებლად გამოვასწორებთ".

აღვნიშნოთ, რომ 60 წლის სიომინი კიეველთა თავკაცის რანგში აქტიურ მუშაობას მომავალი თვიდან, ახალი წლის მერე შეუდგება.

**გიორგი ქაქაბაძე**

# პერუ ოთხეულს გაეგუზა


ჯეფერსონ ფარფანი

**პერუს** ფეხბურთის ფედერაციამ ეროვნული ნაკრებიდან გაურკვეველი ვადით 4 მოთამაშე მოკვეთა — პსვ-ს თავდამსხმელი ჯეფერსონ ფარფანი, „ჩელსის" ფორვარდი კლაუდიო პიზარო, „ალმერიას" მცველი სანტიაგო აკასიეტე და დონეცკის „მეტალურგის" შემტევი ანდრეს მენდოსა.

ამ მოთამაშეებს ბრალად დისციპლინის სხვადასხვა დროს და სხვადასხვა სახით დარღვევა ედებათ. მათ კონკრეტულ განაჩენს ფედერაციის დისციპლინარული კომიტეტი გამოუტანს.

„ეროვნული ნაკრების ღირსების დაცვა ყველა მოთამაშისთვის დიდი პატივი უნდა იყოს. დისციპლინის დამრღვევებთან საზიარო არაფერი გვაქვს. ყველაფერს დისციპლინარული კომიტეტი დაადგენს" — ნათქვამია პერუს ფეხბურთის ფედერაციის განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ პერუმ მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის პირველი ოთხი მატჩში მხოლოდ ორი ქულა აიღო და ოდენ ორი გოლი გაიტანა და რვა გაუშვა.

**კოკი კანდელაკი**

# მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი 2007


ტუნისელმა მუსა ნარიმ (№24) მსოფლიოს საკლუბოზე პირველი სენსაცია გამოიწვია

# ღრუბლებში წაგებული თამაში

**ფავორიტად** მიჩნეულმა მექსიკურმა „პაჩუკამ" ტუნისის „ეტუალთან" წააგო და დამარცხებულთა მწვრთნელმა ენრიკე მესამ მარცხი ასე ახსნა: „ამ მატჩის ბედი ზეცაში გადაწყდა. ჩემი გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ, მაგრამ გოლი მეტოქემ გაიტანა. ვერ ვიტყვი, რომ მოწინააღმდეგემ გვაჯობა, ან ჩვენ ვაჯობეთ, ოღონდ მათ გამარჯვება დაიმსახურეს. „პაჩუკას" ბედი ზეცაში გადაწყდა".

ტუნისელთა ფრანგი თავკაცი ბერტრან მარშანი: „საქმე ისე აეწყო, როგორც დაგეგმილი გვქონდა. „პაჩუკა" კარგად შევისწავლეთ. ისინი ჩვენზე აშკარად ძლიერნი იყვნენ და თამაშსაც აკონტროლებდნენ, მაგრამ ფეხბურთში ძლიერი ყოველთვის ვერ იგებს. მიხარია, რომ იაპონიაში კიდევ ერთი კვირით დავრჩებით და „ბოკა ხუნიორსის" დარ ძლიერ გუნდს ნახევარფინალში შევხვდებით. ერთი ოცნება აგვიხდა, მეორე კი ფინალში გასვლა და იქ „მილანთან" თამაშია. „პაჩუკასთან" შემტევი ფეხბურთი რომ გვეთამაშა, მალევე გოლს გავუშვებდით. ამიტომაც დაცვაში ჩადგომა ვარჩიეთ".

მექსიკელები მთელი მატჩის განმავლობაში უფრო უტევდნენ და თუ საქმე სტატისტიკაზე მიდგა, ბურთის ფლობა მათ სასარგებლოდ (64:36) იყო. ტუნისელმა ნახევარმცველმა მუსა ნარიმ სტატისტიკას ხაზი გადაუსვა და 85-ე წუთზე შორიდან დარტყმით გაიტანა.

თამაშის დასაწყისშივე კარლოს კაჩოს თავურით შეეძლო „პაჩუკას" დაწინაურება, მაგრამ ხარიხას გაარტყა. კრისტიან ხიმენესმა კი საჯარიმო შესრულა და ისევ კარის ჩარჩო შეატოკა. მეორე ტაიმის შუაში მექსიკელმა ხულიო მანსურმა გაიტანა, მაგრამ თანაშემწე მსაჯის გამო არ ჩაუთვალეს. „პაჩუკას" მწვრთნელმა ეს უიღბლობა ზეცას დააბრალა.

**გაჭა ხუციშვილი**

**მეოთხედფინალი**

**ეტუალ დუ საჰელი (ტუნისი) 1:0 პაჩუკა (მექსიკა)**
**1:0 ნარი (85)**

**სეპაჰანი (ირანი) — ურავა რედსი (იაპონია)**
**დღეს გაიმართება**

## პოლონეთი

**I ლიგა. XVII ტური**

რუხი — კრაკოვია 2:0; ლეხი — კორონა 1:0; ბელხატუვი — ვიძევი 3:1; გროცლინი — იაგელონია 3:1; პოლონია — ლოძი 0:1; სოსნოვიცი — ოდრა 0:2; ლეგია — გურნიკი 2:0; ვისლა — ზაგლები 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 17 | 15 | 2 | 0 | 44:9 | 47 |
| ლეგია | 17 | 12 | 1 | 4 | 28:7 | 37 |
| ლეხი | 17 | 10 | 3 | 4 | 31:20 | 33 |
| გროცლინი | 17 | 10 | 2 | 5 | 27:18 | 32 |
| კორონა | 17 | 10 | 2 | 5 | 24:22 | 32 |
| ბელხატუვი | 17 | 7 | 6 | 4 | 20:16 | 27 |
| ზაგლები | 17 | 7 | 5 | 5 | 23:19 | 26 |
| გურნიკი | 17 | 7 | 3 | 7 | 22:25 | 24 |
| იაგელონია | 17 | 6 | 5 | 6 | 18:25 | 23 |
| ოდრა | 17 | 5 | 4 | 8 | 16:21 | 19 |
| რუხი | 17 | 4 | 5 | 8 | 19:26 | 17 |
| კრაკოვია | 17 | 5 | 1 | 11 | 11:21 | 16 |
| ვიძევი | 17 | 2 | 8 | 7 | 14:22 | 14 |
| პოლონია | 17 | 4 | 2 | 11 | 9:26 | 14 |
| ლოძი | 17 | 2 | 5 | 10 | 8:15 | 11 |
| სოსნოვიცი | 17 | 2 | 2 | 13 | 13:35 | 8 |

## შვეიცარია

**სუპერლიგა. XVIII ტური**

აარაუ — სენტ გალენი 2:2; ლუცერნი — თუნი 1:2; ბაზელი — ქსამაქსი 0:1; გრასჰოპერი — ციურიხი 2:1; იანგ ბოისი — სიონი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაზელი | 18 | 12 | 3 | 3 | 38:19 | 39 |
| ციურიხი | 18 | 9 | 6 | 3 | 41:19 | 33 |
| იანგ ბოისი | 18 | 9 | 6 | 3 | 43:30 | 33 |
| აარაუ | 18 | 5 | 9 | 4 | 27:25 | 24 |
| ქსამაქსი | 18 | 5 | 7 | 6 | 27:28 | 22 |
| სიონი | 18 | 6 | 4 | 8 | 22:25 | 22 |
| გრასჰოპერი | 18 | 5 | 5 | 8 | 26:34 | 20 |
| ლუცერნი | 18 | 2 | 11 | 5 | 24:34 | 17 |
| თუნი | 18 | 4 | 5 | 9 | 17:27 | 17 |
| სენტ გალენი | 18 | 3 | 4 | 11 | 21:45 | 13 |

**ჩელენჯლიგა. XVIII ტური**

კიასო — შო დე ფონი 0:2; ბელინცონა — სერვეტი 2:1; ჩამი — კრიენსი 1:2; გოსაუ — დელემონი 5:1; ვადუცი — ლუგანო 3:2; ვილი — შაფჰაუზენი 1:1; ლოზანა — ვინტერთური 1:3; ივერდონი — ლოკარნო 3:0

## ინგლისი
### პრემიერლიგა
### XVI ტური

**ბლექბერნი 0:1 ვესტ ჰემი**
0:1 ეშტონი (62)
ბლექბერნი: ფრიდელი, მოკოენა (სუვიჯი 46), ოიერი, სამბა, უორნოკი, დანი (რიდი 70), ემერტონი, თუგაი, პედერსენი (რობერტსი 76), მაკკარტი, სანტა კრუზი
მწვრთნელი: მარკ ჰიუზი
ვესტ ჰემი: გრინი, ნილი, გაბიდონი, აპსონი, მაკკარტნი, ეზერინგტონი (ეშტონი 46), მალინსი, პარკერი, სოლანო (სპექტორი 76), ბოა მორტე, ჯ. კოული (კამარა 88)
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
გაფრთხილება: ოიერი, კოული
მსაჯი: ვაილი
20 870 მაყურებელი

**მიდლსბრო 2:1 არსენალი**
1:0 დაუნინგი (43), 2:0 თუნჯაი (74), 2:1 როსიცკი (90)
მიდლსბრო: ტარნბალი, უიტერი, ვუდგეიტი (პოგი 73), პოგატეცი, იანგი, ბოატენგი, დაუნინგი, ონილი, როჩემბაკი, ალიადიერი (არკა 81), თუნჯაი (ჯონსონი 90)
მწვრთნელი: გარეთ საუთგეიტი
არსენალი: ალმუნია, სანია, კ. ტურე, გალასი, კლიში, ებუე (უოლკოტი 61), ჟილბერტო სილვა, ლ. დიარა (დენილსონი 60), როსიცკი, ედუარდო (ბენდტნერი 46), ადებაიორი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: ონილი, ტურე, კლიში, როჩემბაკი
მსაჯი: ვები
26 428 მაყურებელი

**მანჩესტერი 4:1 დერბი**
1:0 გიგზი (40), 2:0, 3:0 ტევესი (45, 60), 3:1 ჰოვარდი (76), 4:1 რონალდუ (90პ)
მანჩესტერი: ვან დერ სარი, ბრაუნი, რ. ფერდინანდი (ოშე 71), ვიდიჩი, ევრა, რონალდუ, კარიკი, ანდერსონი (ფლეტჩერი 62), გიგზი (საა 64), რუნი, ტევესი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
დერბი: ბივატერი, გრიფინი, მური, დევისი, მაკიველი (ჰოვარდი 46), ლიკოკი, ფაგანი (მირსი 46), ოკლი, პირსონი, ბერნესი (ტილი 61), მილერი
მწვრთნელი: პოლ ჯუელი
გაფრთხილება: დევისი, გრიფინი
მსაჯი: ფოი
75 725 მაყურებელი

**ჩელსი 2:0 სანდერლენდი**
1:0 შევჩენკო (23), 2:0 ლამპარდი (75პ)
ჩელსი: კუდიჩინი, ბელეტი, ალექსი, ტერი, ეშლი კოული, შ. რაიტ-ფილიპსი, მიკელი, ლამპარდი, ჯ. კოული (სიდველი 85), შევჩენკო, ს. კალუ (პიზარო 66)
მწვრთნელი: ავრაამ გრანტი
სანდერლენდი: უორდი, ჰალფორდი, მაკშეინი, ჰიგინბოთემი, კოლინზი, მილერი, ლიდბიტერი (სტოკსი 70), ეტუჰუ, უიტჰიდი, უოლესი, ჯონსი (მერფი 67)
მწვრთნელი: როი კინი
გაფრთხილება: უოლესი
გაძევება: მილერი (88)
მსაჯი: უოლტონი
41 707 მაყურებელი

**ტოტენჰემი 2:1 სიტი**
1:0 ჩიმბონდა (45), 1:1 ბიანკი (61), 2:1 დეფო (83)
ტოტენჰემი: რობინსონი, ჩიმბონდა, დოუსონი, კაბული, ლი, ჯენასი, ლენონი (ბოატენგი 67), ზოკორა, მალბრანკი, დ. ბენტი (დეფო 77), ბერბატოვი (ტაინიო 90)
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
სიტი: ისაქსონი, კორლუკა, რიჩარდსი, დანი, გარიდო, ჟელსონი, აირლენდი, ჯონსონი, პეტროვი, ეტუჰუ (ბიანკი 58), ვასელი (ჯოვანი 84)
მწვრთნელი: სვენ-გორან ერიქსონი
გაფრთხილება: გარიდო, დანი, ჟელსონი, დეფო, ჯენასი
გაძევება: აირლენდი (82)
მსაჯი: ჰალსი
35 646 მაყურებელი

**რედინგი 3:1 ლივერპული**
1:0 ჰანტი (17პ), 1:1 ჯერარდი (28), 2:1 დოილი (60), 3:1 ჰარპერი (67)
რედინგი: ჰანემანი, მარტი (სისე 90), სონკო (ბიკეი 81), ინგიმარსონი, შორი, ჰანტი, ჰარპერი, გუნარსონი, კონვეი (ლიტა 88), დოილი, კიტსონი
მწვრთნელი: სტივ კოპელი
ლივერპული: რეინა, არბელოა, კარაგერი (ჰიიპია 82), ჰობსი, რიისე, ჯერარდი (ბაბელი 71), მასკერანო, სისოკო, ვორონინი, ფ. ტორესი (კოუელი 61), კრაუჩი
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
გაფრთხილება: ჯერარდი
მსაჯი: მარინერი
24 022 მაყურებელი

**ევერტონი 3:0 ფულემი**
1:0, 2:0, 3:0 აიეგბენი (51, 61, 79)
ევერტონი: ჰოვარდი, ფ. ნევილი, ლესკოტი, იობო, ბაინსი (იაგიელკა 23), ოსმანი, არტეტა, კეჰილი (ჯონსონი 82), კარსლი, პიენაარი, აიეგბენი (მაკფადენი 82)
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
ფულემი: ნიემი, ომოზუსი, ჰიუზი, სტეფანოვიჩი, კონჩესკი, შ. დევისი, კ. დევისი, მერფი (სეოლი 74), კამარა, კუქი, დემპსი (ჰილი 64)
მწვრთნელი: ლოური სანჩესი
გაფრთხილება: კამარა, ომოზუსი
მსაჯი: ბენეტი
32 743 მაყურებელი

**ასტონ ვილა 1:3 პორტსმუთი**
0:1 გარდნერი (10ს.კ.), 0:2, 0:3 მუნტარი (40, 61), 1:3 ბერი (72პ)
ასტონ ვილა: კარსონი, ნაითი, მელბერგი, ლაურსენი, ბუმა (ბერგერი 54), გარდნერი (მარვუდი 70), რეო-კოკერი, ბერი, იანგი, კარიუ, აგბონლაჰორი
მწვრთნელი: მარტინ ონილი
პორტსმუთი: ჯეიმსი, ჯონსონი, კემპბელი, დისტინი, პამარო, უტაკა (კანუ 64), დიოპი, პ. მენდეში, მუნტარი, კრანჩარი (ტეილორი 88), მვარუვარი
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
გაფრთხილება: კარიუ, ბერგერი, მენდეში, ჯეიმსი, პამარო, კრანჩარი
მსაჯი: რაილი
35 790 მაყურებელი

**ნიუკასლი 2:1 ბირმინგემი**
0:1 ჯერომი (9), 1:1 მარტინსი (37პ), 2:1 ბეიე (90)
ნიუკასლი: გივენი, ბეიე, ს. ტეილორი, როზენალი, ნზოგბია, მილნერი, ბარტონი, ბატი (ვიდუკა 31), ჯერემი (ემრე 72), მარტინსი (ხოსე ენრიკე 90), სმიტი
მწვრთნელი: სემ ალარდაისი
ბირმინგემი: მ. ტეილორი, კელი, შმიტცი, რიდგუელი, სადლერი, დე რიდერი (ფორსელი 76), ლარსონი, ნაფტი, მუამბა, მაკშეფრი (კაპო 62), ჯერომი
მწვრთნელი: ალექს მაკლიში
გაფრთხილება: ბარტონი, ნაფტი, ლარსონი
მსაჯი: სტაილზი
49 948 მაყურებელი

**ბოლტონი 4:1 უიგანი**
1:0 შარნერი (3ს.კ.), 1:1 ლანძაატი (14), 2:1 ნოლანი (37), 3:1 დევისი (70), 4:1 ანელკა (89)
ბოლტონი: იასკელაინენი, ჰანტი, მეიტე, ობრაიენი, კამპო (სპიდი 90), გარდნერი, გუტრიე, ნოლანი (იანაკოპულოსი 90), კ. დევისი, ანელკა, დიუფი (მაკკანი 77)
მწვრთნელი: გარი მეგსონი
უიგანი: კირკლანდი, ბოისი, ბრამბლი, გრანკვისტი, შარნერი, კილბეინი, კუმასი, ლანძაატი, ვალენსია, მ. ბენტი, ჰესკი (ბრაუნი 72)
მწვრთნელი: სტივ ბრიუსი
გაფრთხილება: ობრაიენი, ვალენსია, გუტრიე
მსაჯი: ატკინსონი
20 309 მაყურებელი

# მე და მამაჩემი



ფერნანდო ტორესის ეს წაქცევა არბიტრმა უყურადღებოდ დატოვა

**„ლივერპულმა"** სეზონში პირველი პრემიერლიგური მარცხი იგემა და „რედინგთან" ერთად, ამ წაგების თანაავტორები მსაჯები გახდნენ. კარაგერმა გუნარსონი საჯარიმოს გარეთ წააქცია, მაგრამ მთავარმა არბიტრმა ანდრე მარინერმა თანამსაჯის ჩვენებას დაუჯერა და პენალტი დანიშნა. თერთმეტი მეტრიდან სტივენ ჰანტმა გაიტანა, ჯერარდმა კი მალე გაათანაბრა. ამის შემდეგ „რედინგის" საჯარიმოში სონკომ ტორესს ფეხი აშკარად გამოსდო, მარინერის სასტვენი კი დამუნჯდა. „ლივერპული" მეორე ტაიმის დასაწყისიდანვე დასახლდა მეტოქის ნახევარზე, მაგრამ კევინ დოილმა თავურით გაიტანა, ხოლო ჰარპერი რეინასთან პირისპირ გავიდა და ბურთი ცარიელ კარში შეაგდო.

„დარწმუნებული ვარ, რომ გუნარსონის წაქცევისთვის პენალტი არ უნდა დანიშნულიყო — თქვა ბენიტესმა — ტორესი კი აშკარად მოცელეს. ამას მარცხის გასამართლებლად არ ვამბობ. ჩვენ მომენტები გვქონდა და ვერ გამოვიყენეთ".

ბირმინგემში „პორტსმუთის" მწვრთნელს ჰარი რედნაპს იქაურმა ფანებმა აგინეს. მოხუცი ისე გაბრაზდა, რომ ნამატჩევს თქვა: „ბავშობაში მამაჩემს ყოველ შაბათს „არსენალის" თამაშზე დავყავდი, მაგრამ მსგავსი რამ არ ხდებოდა. ახლა სხედან მწვრთნელების უკან ტრიბუნაზე კაცები შვილებით და მთელი შეხვედრის განმავლობაში გვაგინებენ". რედნაპის გუნდმა „ასტონ ვილა" დაამარცხა და სტუმრად მეექვსე მატჩი მოიგო. გარდნერმა საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი, ხოლო სულეი მუნტარიმ ტაიმის მიწურულს ოცი მეტრიდან გაიტანა და სხვაობა ორამდე გაზარდა. განელმა ნახევარმცველმა შესვენების შემდეგ მესამე გოლი უფრო შორიდან შეაგდო, ხოლო გარეტ ბერიმ პენალტით ერთი გაქვითა.

„ევერტონის" ნიგერიელ ფორვარდ იაკუბუ აიეგბენის 28 წუთი ეყო „ფულემთან" ჰეთ თრიქის შესასრულებლად, არადა, წინა რვა მატჩში მხოლოდ ერთხელ გაეტანა. დამარცხებულთა მწვრთნელმა ლორი სანჩესმა დაიჩივლა: „არ მესმის, სტუმრად ასე ცუდად რატომ ვთამაშობთ. ალბათ, ფსიქოლოგიური ამბავია. ამის გამოსწორებას დრო სჭირდება".

„მანჩესტერის" უელსელმა რაიან გიგზმა უსუსტეს „დერბისთან" ანგარიში გახსნა და პრემიერლიგაში მე-100 გოლი მიითვალა. „წითლებს" „ცხვრების" დამარცხება არ გასჭირვებიათ. კარლოს ტევესმა გაილაღა და დუბლი ჩაიწერა, ხოლო ბოლო წუთზე კრიშტიანუ რონალდუმ პენალტით მეოთხე შეაგდო. ალექს ფერგიუსონი გაოცებული იყო: „გამიკვირდა, რომ გიგზის 99 გოლზე მატჩამდე არსად ეწერა და არავინ თქვა, მე კი ვიცოდი. ეს დიდებული შედეგია. ასეთი მიღწევით ბევრი ვერ დაიკვეხნის. გოლს თავი რომ დავანებოთ, გიგზი საუცხოო ფეხბურთელია. რაც შეეხება რონალდუს, იგი გუნდის მეპენალტეა, მაგრამ ტევესისთვის რომ დაეთმო, უკეთესი იქნებოდა, რადგან არგენტინელი ჰეთ თრიქს გაიფორმებდა და უფრო გაუხარდებოდა".

„ჩელსის" ტრავმირებული დიდიე დროგბა არ ჰყავდა, მაგრამ ანდრეი შევჩენკომ სეზონში მეხუთედ ითამაშა ძირითად შემადგენლობაში და გოლიც გაიტანა. მეორე კი ლამპარდმა პენალტით შეაგდო.

„ძალიან მიხარია შევჩენკოს გოლი — თქვა ავრაამ გრანტმა — ბრწყინვალე ფორვარდია და იცის, როგორ გაიტანოს".

ისევე, როგორც შაბათს, კვირის მატჩებიდანაც მხოლოდ ერთი დასრულდა სტუმართა გამარჯვებით, მთლიანობაში კი პრემიერლიგის მე-16 ტურის შეხვედრებში ფრე არსად დაფიქსირებულა.

„მიდლსბრომ" მშობლიურ „რივერსაიდზე" პირველობის ერთპიროვნული ლიდერი „არსენალი" დაამარცხა. თამაში ხეირიანად გახურებულიც არ ყოფილა, როცა მასპინძლებმა პენალტის შესრულების უფლება მიიღეს, ხოლო ინგლისის ნაკრების ნახევარმცველმა სტიუარტ დაუნინგმა შანსი უნაკლოდ გამოიყენა. მეორე ტაიმში „ბოროს" თურქმა შემტევმა თუნჯაიმ ალმუნიას მეორეც გაუტანა და „მეთოფეებმა" როსიცკის დაგვიანებული გოლით უპასუხეს.

„მანჩესტერ სიტიმ" ლონდონში წააგო — „ტოტენჰემს" გამარჯვება ჟერმენ დეფოს გოლმა მოუტანა. მანამდე კი ორივე მხრიდან თითო გოლი ლეგიონერებმა შეაგდეს: „დეზთაგან" ფრანგმა პასკალ ჩიმბონდამ, ხოლო „სიტის" გოლი საკუთარ ანგარიშზე იტალიელმა როლანდო ბიანკიმ ჩაიწერა.

„ბოლტონმა" კი სეზონში აშკარად საუკეთესო მატჩი ჩაატარა. გარი მეგსონის შეგირდებმა საბრალო „უიგანის" კარში ოთხი გოლი შეაგდეს, საკუთარში კი მხოლოდ ჰოლანდიელ ლანძაატს გაატანინეს.

დღის ბოლო მატჩში კი „ვესტ ჰემმა" „იუუდ პარკზე" ადგილობრივი „ბლექბერნი" კარგ ფორმაში შესული დინ ეშტონის კინკილა გოლით დაამარცხა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 16 | 11 | 4 | 1 | 33:14 | 37 |
| მანჩესტერი | 16 | 11 | 3 | 2 | 29:6 | 36 |
| ჩელსი | 16 | 10 | 4 | 2 | 24:9 | 34 |
| ლივერპული | 15 | 8 | 6 | 1 | 27:9 | 30 |
| პორტსმუთი | 16 | 8 | 6 | 2 | 28:14 | 30 |
| სიტი | 16 | 9 | 3 | 4 | 20:17 | 30 |
| ევერტონი | 16 | 8 | 3 | 5 | 29:16 | 27 |
| ასტონ ვილა | 16 | 8 | 3 | 5 | 27:19 | 27 |
| ბლექბერნი | 16 | 7 | 5 | 4 | 20:19 | 26 |
| ვესტ ჰემი | 15 | 6 | 4 | 5 | 20:12 | 22 |
| ნიუკასლი | 16 | 6 | 4 | 6 | 23:26 | 22 |
| რედინგი | 16 | 5 | 2 | 9 | 21:33 | 17 |
| ტოტენჰემი | 16 | 3 | 6 | 7 | 28:29 | 15 |
| ბოლტონი | 16 | 3 | 5 | 8 | 16:23 | 14 |
| ბირმინგემი | 16 | 4 | 2 | 10 | 17:26 | 14 |
| მიდლსბრო | 16 | 3 | 5 | 8 | 15:28 | 14 |
| ფულემი | 16 | 2 | 7 | 7 | 18:27 | 13 |
| სანდერლენდი | 16 | 3 | 4 | 9 | 15:31 | 13 |
| უიგანი | 16 | 2 | 3 | 11 | 12:30 | 9 |
| დერბი | 16 | 1 | 3 | 12 | 6:38 | 6 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ადებაიორი (არსენალი) | 9 |
| რონალდუ (მანჩესტერი) | 9 |
| კინი (ტოტენჰემი) | 8 |
| მვარუვარი (პორტსმუთი) | 8 |
| აიეგბენი (ევერტონი) | 8 |

### XVII ტური
15 დეკემბერი

| | | |
|---|---|---|
| არსენალი | : | ჩელსი |
| ბირმინგემი | : | რედინგი |
| დერბი | : | მიდლსბრო |
| ფულემი | : | ნიუკასლი |
| ლივერპული | : | მანჩესტერი |
| სიტი | : | ბოლტონი |
| პორტსმუთი | : | ტოტენჰემი |
| სანდერლენდი | : | ასტონ ვილა |
| ვესტ ჰემი | : | ევერტონი |
| უიგანი | : | ბლექბერნი |

### ჩემპიონატი. XXI ტური
პლიმუთი — ბრისტოლი 1:1; პრესტონი — ბლეკპული 0:1; ლესტერი — ვესტ ბრომვიჩი 1:2; ბარნსლი — კრ. პალასი 0:0; კარდიფი — კოლჩესტერი 4:1; ჩარლტონი — იფსვიჩი 3:1; ნორვიჩი — შეფილდი 1:0; სკანთორპი — ქუინზ პარკი 2:2; საუთჰემპტონი — ჰალი 4:0; ვულვზი — ბარნლი 2:3; სტოკი — უოტფორდი 0:0. უენსდი — ქოვენთრი ჩაიშალა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უოტფორდი | 21 | 12 | 4 | 5 | 36:27 | 40 |
| ვესტ ბრომვიჩი | 21 | 11 | 5 | 5 | 42:23 | 38 |
| ჩარლტონი | 21 | 11 | 4 | 6 | 30:22 | 37 |
| ბრისტოლი | 21 | 9 | 8 | 4 | 26:24 | 35 |
| სტოკი | 21 | 9 | 7 | 5 | 30:24 | 34 |
| ვულვზი | 21 | 9 | 6 | 6 | 22:19 | 33 |
| ბარნლი | 20 | 8 | 8 | 4 | 30:25 | 32 |
| პლიმუთი | 21 | 8 | 7 | 6 | 29:23 | 31 |
| ბარნსლი | 21 | 8 | 7 | 6 | 24:25 | 31 |
| საუთჰემპტონი | 21 | 9 | 3 | 9 | 31:36 | 30 |
| იფსვიჩი | 20 | 8 | 5 | 7 | 34:28 | 29 |
| ქოვენთრი | 20 | 8 | 4 | 8 | 25:30 | 28 |
| ჰალი | 21 | 7 | 6 | 8 | 25:27 | 27 |
| შეფილდი | 21 | 7 | 5 | 9 | 25:27 | 26 |
| უენსდი | 20 | 7 | 4 | 9 | 26:27 | 25 |
| კრ. პალასი | 21 | 5 | 10 | 6 | 23:24 | 25 |
| კარდიფი | 20 | 5 | 8 | 7 | 26:28 | 23 |
| ბლეკპული | 20 | 5 | 8 | 7 | 22:26 | 23 |
| სკანთორპი | 21 | 5 | 8 | 8 | 23:29 | 23 |
| ლესტერი | 20 | 4 | 10 | 6 | 19:17 | 22 |
| ნორვიჩი | 21 | 6 | 3 | 12 | 19:30 | 21 |
| კოლჩესტერი | 21 | 4 | 8 | 9 | 33:38 | 20 |
| პრესტონი | 21 | 4 | 6 | 11 | 19:26 | 18 |
| ქუინზ პარკი | 20 | 3 | 8 | 9 | 18:32 | 17 |

### I ლიგა. XIX ტური
ბრაიტონი — ნოტინგემი 0:2; ლიდსი — ჰადერსფილდი 4:0; ქრიუ — უოლსოლი 0:0; ჯილინგემი — პორტ ვეილი 1:2; ლეიტონი — ჩელტენემი 2:0; ნორთჰემპტონი — კარლაილი 2:2; ოლდემი — დონკასტერი 1:1; საუთენდი — სუინდონი 2:1; ტრანმერი — ბორნმუთი 3:1; იოვილი — ჰარტლპული 3:1. როვერსი — სუონსი და ლუთონი — მილუოლი გადაიდო

### II ლიგა. XIX ტური
ბარნეტი — მაკლსფილდი 2:2; ბრენტფორდი — გრიმსბი 0:1; ჩესტერი — პიტერბრო 1:2; ჩესტერფილდი — ბრედფორდი 1:1; დაგენემი — რექსემი 3:0; მერეფორდი — ლინკოლნი 3:1; დონსი — აკრინგტონი 5:0; ნოტსი — შრიუსბერი 2:1; როტერჰემი — როჩდეილი 2:4; სტოკპორტი — უიკომბი 6:0. მორეკემბი — დარლინგტონი ჩაიშალა, მენსფილდი — ბერი გადაიდო

### კონფერენსლიგა. XXIII ტური
კიდერმინსტერი — კემბრიჯი 1:0; ალდერშოტი — სტაფორდი 4:3; ბარტონი — ფორესტ გრინი 1:1; დროილსდენი — რაშდენი 1:4; ებსფლითი — იორკი 1:2; ჰალიფაქსი — ექსეტერი 0:3; ჰისტონი — უოქინგი 0:1; ნორსვიჩი — ოქსფორდი 1:0; სტივენეიჯი — სალისბერი 3:1. ტორკი — ალტრინჩემი, ქროული — გრეისი და ვეიმუთი — ფერსლი გადაიდო

# გერმანია

## ბუნდესლიგა XVI ტური

**ბოხუმი 2:2 კარლსრუე**

1:0 შესტაკი (18), 1:1 ჰაინალი (24), 1:2 ფრაისი (56), 2:2 შესტაკი (59)

ბოხუმი: რენო, კონჩა, მალტრიცი (დრეშერი 60), პფერცელი, პ. ბიონიგი, იმშოფი (ცდებელი 85), დაბროვსკი, ეპალე, დ. ფუხსი, შესტაკი, მაისელი (ბეხმანი 81)

მწვრთნელი: მარსელ კოლერი

კარლსრუე: კორნეცკი, ა. გიორლიცი, ეგიმენი, ფრანცი, ს. ბუკი, პორკელიო, ტიმი, მუტცელი, ჰაინალი, იაშვილი, ფრაისი

მწვრთნელი: ედმონდ ბეკერი

გაფრთხილება: შესტაკი, მალტრიცი

მსაჯი: კირხერი

22 000 მაყურებელი

**აინტრახტი 2:2 შალკე**

1:0 ტოსკი (49), 1:1 ვესტერმანი (77), 2:1 ამანატიდისი (82) 2:2 ვესტერმანი (89)

აინტრახტი: პრიოლი, პ. ოხსი, გალინდო, კირიაკოსი, შპიხერი, რუსი, მაჰდავიკია (ტურკი 83), მ. ფინკი, კიოლერი, ტოსკი (ვაისენბერგერი 72), ამანატიდისი

მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი

შალკე: ნოიერი, რაფინია, ბორდონი, კრსტაიჩი, ვესტერმანი, ჯონსი, ფ. ერნსტი, რაკიტიჩი (ლოვენკრანდსი 64), იოზილი (ბაირამოვიჩი 90), ჰალილ ალტინტოპი (ასამოა 46), კურანი

მწვრთნელი: მირკო სლომკა

გაფრთხილება: რუსი, კურანი, მაჰდავიკია, ბორდონი, ტურკი, ერნსტი, ბაირამოვიჩი

გაძევება: გროსმიულერი (87, „შალკეს" სათადარიგოთა სკამზე)

მსაჯი: ფლაიშერი

50 000 მაყურებელი

**ბაიერნი 0:0 დუისბურგი**

ბაიერნი: კანი, ლელი (სანიოლი 70), ვან ბუიტენი, დემიკელისი, ლამი, ვან ბომელი, ზე რობერტო (შვაინშტაიგერი 70), სოსა, რიბერი, კლოზე, ტონი (პოდოლსკი 76)

მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი

დუისბურგი: შტარკე, ვებერი, როკე ჟუნიორი (ფილიპესკუ 76), შლიკე (ფერნანდო 49), ვილი (ლამეი 37), გრლიჩი, ტარარახე, გეორგიევი, ი. მოხტარი, იდრისუ, ლავრიჩი

მწვრთნელი: ედუარდ ბომერი

გაფრთხილება: ვან ბომელი, ტარარახე, შტარკე

გაძევება: იდრისუ (81)

მსაჯი: რაფატი

69 000 მაყურებელი

**ჰანოვერი 4:3 ვერდერი**

0:1 როზენბერგი (10), 1:1 ჰანკე (12), 2:1 ბაუმანი (20ს.კ.), 3:1 ჰანკე (21), 3:2 დიეგო (41პ), 3:3 როზენბერგი (54), 4:3 ჰანკე (77)

ჰანოვერი: ენკე, ჩერუნდოლო, ვინისიუსი, კლაინე, ტარნატი, ბალიტში (როზენტალი 72), კ. შულცი, კრებსი (შტაინერი 69), ს. პინტო (ჰაშემიანი 84), ჰუშტი, ჰანკე

მწვრთნელი: დიტერ ჰეკინგი

ვერდერი: ვიზე, პასანენი, მერტესაკერი (ჰუნტი 46), ნალდო, ტოშიჩი, ბაუმანი, ჟრანიეში (ბოროვსკი 79), დ. იენსენი, დიეგო, როზენბერგი, სანოგო (უგო ალმეიდა 80)

მწვრთნელი: თომას შააფი

გაფრთხილება: ვინისიუსი, როზენბერგი, ბალიტში, პასანენი, იენსენი, ჰუნტი, ბოროვსკი, ნალდო

გაძევება: უგო ალმეიდა (90)

მსაჯი: შტარკი

49 000 მაყურებელი

**ჰამბურგი 0:0 კოტბუსი**

ჰამბურგი: ფ. როსტი, დემელი, მატიისენი, ბ. რაინჰარდტი, ჟ. ბოატენგი (ატუბა 80), დე იონგი, კომპანი, ტროხოვსკი (კასტელენი 65), ვან დერ ვაარტი, ოლიჩი, გერერო (ჩუპო-მოტინგი 77)

მწვრთნელი: ჰუბ სტევენსი

კოტბუსი: ტრემელი, და სილვა, ი. მიტრესკი, ცვიტანოვიჩი, ციბიგი, ბასილა, ტ. როსტი, რივიჩი (იშსა 86), შკელა, დ. სორენსენი (ალონეფტისი 69), რანგელოვი (შაო 89)

მწვრთნელი: ბოიან პრაშნიკარი

გაფრთხილება: რაინჰარდტი, ციბიგი, კასტელენი

მსაჯი: პერლი

56 000 მაყურებელი

**ლევერკუზენი 3:0 ჰანზა**

1:0 როლფესი (4), 2:0 ფრაიერი (55პ), 3:0 გეკასი (72)

ლევერკუზენი: რ. ადლერი, შარპი, მ. ფრიდრიხი, ჰაგუი, გრეშკო, სინკევიჩი, კასტრო (ფატი 84), როლფესი, ფრაიერი, ბარნეტა (დუმი 80), გეკასი (ბულიკინი 74)

მწვრთნელი: მიხაელ სკიბე

ჰანზა: ჰანელი, დ. ლანგენი (ბიულოვი 76), სებასტიანი, ორესტესი, მ. შტაინი, რატგები, ბაინლიხი, კერნი, პირსი, ცეტკოვიჩი (ბარტელსი 83), აგალი (მენგე 46)

მწვრთნელი: ფრანკ პაგელსდორფი

გაფრთხილება: აგალი, კერნი

მსაჯი: შმიდტი

22 500 მაყურებელი

**შტუტგარტი 3:1 ვოლფსბურგი**

1:0 მარიკა (26), 2:0 კაკაუ (48), 2:1 ძეკო (51), 3:1 ჰიცლშპერგერი (86)

შტუტგარტი: რ. შეფერი, ოსორიო, ფ. მეირა, დელპიერი, მანინი, პარდო, ჰილბერტი (ევერტონი 72), ჰიცლშპერგერი, ბაშთურქი, მარიკა (მაისნერი 89), კაკაუ (ბოკა 58)

მწვრთნელი: არმინ ფეე

ვოლფსბურგი: ლენცი, ბაიერი (რიტერი 84), შიმუნეკი, მადლუნგი, კარიმოვი, რიკარდუ კოშტა, გენტნერი, ჟოსუე (დეჯაგა 64), მარსელინიო, გრაფიტე (რადუ 64), ძეკო

მწვრთნელი: ფელიქს მაგათი

გაფრთხილება: დელპიერი, გრაფიტე

მსაჯი: მერკი

53 000 მაყურებელი

**დორტმუნდი 6:1 არმინია**

1:0 ტინგა (13), 2:0 შულერი (19ს.კ.), 3:0 პეტრიჩი (47), 4:0 ვალდესი (55პ), 5:0 კრინგე (61), 6:0 ფედერიკო (67), 6:1 კირხი (81)

დორტმუნდი: ვაიდენფელერი, ბლაშჩიკოვსკი, ამედიკი, კოვაჩი, დედე, კელი (კრუშკა 74), კრინგე, ტინგა (ბაკლი 78), ფედერიკო, ვალდესი (კლიმოვიჩი 78), პეტრიჩი

მწვრთნელი: თომას დოლი

არმინია: ფერნანდესი, კორჟინეცი, ბოლმანი, გაბრიელი, შულერი, კაუფი, ზუმა (კამპანტაისი 61), კირხი, ტ. მარქსი (ვერზიკი 58), კამპერი, ვიშნიარეკი

მწვრთნელი: ერნსტ მიდენდორპი

გაფრთხილება: ფედერიკო, ზუმა, კაუფი

მსაჯი: ფანდელი

78 500 მაყურებელი

**ნიურნბერგი 2:1 ჰერტა**

1:0 ხარისტიასი (5), 2:0 მისიმოვიჩი (39), 2:1 ლუშტენბერგერი (65)

ნიურნბერგი: ბლაჟეკი, დ. რაინჰარდტი, ა. ვოლფი, გლაუბერი, ენგელჰარდტი (რ. შმიდტი 79), გალაშეკი, კლუგე, ნ. ადლერი (საენკო 60), მინტალი (კრისტიანსენი 84), მისიმოვიჩი, ხარისტიასი

მწვრთნელი: ჰანს მაიერი

ჰერტა: დრობნი, ა. ფრიდრიხი, ა. შმიდტი (გრანი 46), ვონ ბერგენი, ფატი, დარდაი, შიმუნიჩი, ლუშტენბერგერი, ჟილბერტო (ტრაორე 73), ანდრე ლიმა (ს. ოკორონკვო 46), პანტელიჩი

მწვრთნელი: ლუსიენ ფავრი

გაფრთხილება: ენგელჰარდტი, დარდაი, ვონ ბერგენი, პანტელიჩი

მსაჯი: მეიერი

41 490 მაყურებელი



რიბერომ აუტსაიდერებს ვერაფერი დააკლო

# ზემოთ რა ხდება?

**ლიდერებისთვის** უხეირო ტური იყო — ზედა სამეულიდან ერთმაც ვერ მოიგო, არადა, „ბაიერნი" და „ჰამბურგი" მაჩანჩალებს ეთამაშებოდნენ, „ვერდერი" კი „ჰანოვერთან" ბრძოლაში დამარცხდა. „ბაიერნის" 71-მილიონიანმა ტრიომ (რიბერი-კლოზე-ტონი) გოლი „დუისბურგს" ვერ გაუტანა, რომელსაც 16 მატჩში 25 ჰქონდა გაშვებული. „საქმე ჩვენ თვითონ გავირთულეთ - თქვა ოტმარ ჰიცფელდმა — პირველ ტაიმში მომენტები გვქონდა და რომ გაგვეტანა, თამაში სხვანაირად წავიდოდა".

დუისბურგელებს მე-80 წუთზე იდრისუ გაუძევეს და ათკაცა სტუმრებმა მასპინძელთა შტურმს გაუძლეს, რამაც სეზონში პირველი ფრე მოუტანათ.

დიდი რია-რია იყო ჰანოვერში, სადაც პირველ ტაიმში ხუთი გოლი გავიდა. მეათე წუთზე „ვერდერი" როზენბერგის გოლით დაწინაურდა, მაგრამ ჰანკემ ორ წუთში გაქვითა. ამან „ჰანოვერი" იმტაზე მოიყვანა და ისე შეუტია, რომ ბაუმანმა საკუთარ კარში გაიტანა, წუთის შემდეგ კი ჰანკემ მესამე შეაგდო. მასპინძელმა ბერგანტინმა საჯარიმოში როზენბერგი წააქცია, პენალტი დიეგომ გამოიყენა და სხვაობა შეამცირა.

მეორე ტაიმის დასაწყისში ტოშიჩის პასით როზენბერგმა იხეირა და ჰეთ თრიქი გაიფორმა, მაგრამ მისმა გოლებმა „ვერდერი" მარცხისგან ვერ იხსნა, რადგან ჰანკემაც თავის მხრივ მესამე შეაგდო და „ჰანოვერს" სამი ქულა ჩაუწერა.

სახლში კარგად მოთამაშე „ჰამბურგმა" გასაღები ვერ მოუძებნა „კოტბუსის" კარს, რომელმაც მიჯრით მეორე მატჩი არ წააგო და მარაგი კიდევ ერთი ქულით გაამდიდრა. ცხრილის ფსკერზე დალექილი გუნდი დაცვაში ისე კარგად გაისარჯა, რომ მასპინძლებს პირველი ტაიმის ბოლომდე შანსი არ მისცა. შესვენებამდეც და შეხვედრების შემდეგაც ჰამბურგელ პაულო გერეროს შეეძლო გატანა, მაგრამ კარს ვერ დაუმიზნა და „კოტბუსმა" ქულა წაიღო.

ფრანკფურტში კი „შალკეს" ურუგვაელი კარლოს გროსმიულერი 86-ე წუთზე მოედანზე შეუსვლელად გააძევეს. „აინტრახტი" 2:1-ს იგებდა, როცა სათადარიგო გროსმიულერმა მასპინძელ მიხაელ ტურკს ხელი ჰკრა, რისთვისაც წითელი ბარათი მიიღო. ფრედ დასრულებულ შეხვედრაში ოთხივე გოლი მეორე ტაიმში გავიდა. საჯარიმოში შესულმა ფატონ ტოსკიმ ანგარიში გახსნა, „შალკეს" მცველმა ჰაიკო ვესტერმანმა კი თავურით გაქვითა. ამანატიდისმა „აინტრახტი" კვლავ დააწინაურა, თუმც ვესტერმანმა არ მოისვენა და შეტევაში ჩართულმა საჯარიმოს ხაზიდან დარტყმით გაათანაბრა.

ჩემპიონმა „შტუტგარტმა" „ვოლფსბურგი" დაამარცხა და მერვე ადგილი შეინარჩუნა. ჩიპრიან მარიკამ ოთხი მეტრიდან შეაგდო, ხოლო კაკაუმ მეორე ტაიმის დასაწყისში სხვაობა გაზარდა — მეკარეს ფეხებსშუა გაუძვრინა ბურთი. ჯეკომ მალევე გაქვითა და „მგლებს" ქულის გადარჩენის იმედი გაუჩნდათ, მაგრამ ჰიცლშპერგერმა მატჩის მიწურულს წერტილი დასვა და სტუმრებს გათანაბრების შანსი მოუსპო.

მოწინავე ტრიოს წაფორხილება სხვებზე უკეთ „ლევერკუზენმა" გამოიყენა. „ფთიაქრებმა" ბუნდესლიგაში დარჩენისთვის მებრძოლი „ჰანზა" 3:0 გაანადგურეს. მასპინძელთა გოლები როლფესმა, პაულ ფრაიერმა (პენალტით) და გასული პირველობის საუკეთესო ბომბარდირმა თეოფანის გეკასმა გაიტანეს.

**გაჩა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 16 | 10 | 5 | 1 | 31:8 | 35 |
| ვერდერი | 16 | 10 | 3 | 3 | 37:22 | 33 |
| ჰამბურგი | 16 | 9 | 4 | 3 | 23:12 | 31 |
| ლევერკუზენი | 16 | 9 | 3 | 4 | 30:11 | 30 |
| ჰანოვერი | 16 | 8 | 3 | 5 | 26:23 | 27 |
| კარლსრუე | 16 | 8 | 3 | 5 | 18:20 | 27 |
| შალკე | 16 | 6 | 8 | 2 | 24:16 | 26 |
| შტუტგარტი | 16 | 8 | 1 | 7 | 24:23 | 25 |
| დორტმუნდი | 16 | 6 | 3 | 7 | 26:26 | 21 |
| აინტრახტი | 16 | 4 | 8 | 4 | 18:23 | 20 |
| ბოხუმი | 16 | 5 | 4 | 7 | 25:25 | 19 |
| ჰერტა | 16 | 6 | 1 | 9 | 19:24 | 19 |
| ვოლფსბურგი | 16 | 4 | 5 | 7 | 26:30 | 17 |
| ნიურნბერგი | 16 | 4 | 3 | 9 | 20:26 | 15 |
| არმინია | 16 | 4 | 3 | 9 | 17:38 | 15 |
| ჰანზა | 16 | 4 | 2 | 10 | 14:26 | 14 |
| დუისბურგი | 16 | 4 | 1 | 11 | 14:25 | 13 |
| კოტბუსი | 16 | 2 | 6 | 8 | 12:26 | 12 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| კლოზე (ბაიერნი) | 9 |
| ტონი (ბაიერნი) | 9 |
| ვან დერ ვაარტი (ჰამბურგი) | 9 |
| შესტაკი (ბოხუმი) | 8 |
| დიეგო (ვერდერი) | 8 |
| პეტრიჩი (დორტმუნდი) | 8 |
| ჰანკე (ჰანოვერი) | 8 |
| გეკასი (ლევერკუზენი) | 8 |

**XVII ტური**

15 დეკემბერი

შალკე : ნიურნბერგი
ვერდერი : ლევერკუზენი
ჰერტა : ბაიერნი
